140
1987/12

ISSN 0132 – 600



ეროვნული ბიბლიოთეკა





წინ, წინ, სამშობლო მხარევ! ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი
ის ოქტომბერი, რამაც შესძრა მსოფლიო მთელი!
გამოქანება მძლავრი ცხრაასჩვიდმეტის ტალღის —
ეს არის ძალა, ნება და მისწრაფება ხალხის!

გალაკტიონი



18497

მხატვარი ჯამალ ლოლუა









საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

**პიონერი**

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

11 ნოემბერი 1987

# „არტეკის" პიონერთა IX საკავშირო შეკრებას



ძვირფასო ბავშვებო! შეკრების პატივცემულო სტუმრებო!

ამხანაგო ნორჩო დელეგატებო!

მოხარული ვარ, სწორედ ასე მოგესალმოთ. დელეგატობა ერთობ საპატიო წოდებაა. ყოველი დელეგატი წარმომადგენელია ასობით, ათასობით ორგანიზაციული ამხანაგისა, რომლებმაც ამოგარჩიეს თქვენ და გამოგგზავნეს შეკრებაზე, რითაც გამოხატეს პატივისცემა და ნდობა თავიანთი წარმოგზავნილებისადმი.

და რადგან ასეა, მაშასადამე, მე მომეცა საუცხოო შესაძლებლობა, თქვენი მეშვეობით მივმართო ქვეყნის ყველა პიონერს.

ასეთი საუბარი ახლა ძალზე საჭიროა.

შედიხართ რა თქვენი ორგანიზაციის რიგებში, თქვენ საზეიმოდ სდებთ ფიცს, რომ უერთგულებთ ლენინს, პარტიას. ჩავუკვირდეთ ამ ფიცის სიტყვებს.

პარტია ყოველთვის ეკითხება ხოლმე რჩევას ლენინს, წარმართავს თავის პოლიტიკასა და პრაქტიკულ მუშაობას ლენინური აზრებისა და გეგმების საფუძველზე. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინის იმ რჩევასაც, თუ როგორ ვაშენოთ საკუთარი ცხოვრება, როგორ მოვეკიდოთ საქმეს, ადამიანებს. და როდესაც პიონერები ხდებით, თქვენ დგამთ პირველ სერიოზულ ნაბიჯს იმ გზაზე, რომელიც მიგიყვანთ ლენინის, მისი ცხოვრების, ბრძოლის გაგებამდე. თქვენ თვალწინ გადაგეშლებათ ჭეშმარიტად გმირული ფურცლები, რომლებიც დაკავშირებულია გამბედაობასა და რისკთან, გულადობასთან, ვაჟკაცობასთან, უდიდეს ჯაფასთან. თქვენ თანდათან შეიცნობთ ლენინის შრომებს, მის აზრებს სოციალისტური რევოლუციის შესახებ, ცოდნის, ნამდვილი განათლების, კულტურის საჭიროების შესახებ, სამშობლოს სიყვარულისა და წარსულისადმი სათუთი დამოკიდებულების შესახებ, ადამიანობის, ამხანაგობის, თავმდაბლობის, სიკეთის შესახებ, ინტერნაციონალიზმის, სხვა ხალხთა პატივისცემის, მათთან თანამშრომლობის შესახებ, განვითარებადი სოციალიზმის, ადამიანისა და კაცობრიობის მომავლის შესახებ.

პარტია დიდად იმედოვნებს, რომ თქვენ განიმსჭვალებით ამ აზრებით და მათ შეუსაბამებთ თქვენს კონკრეტულ საქმეებსა და საქციელს.

ლენინის იდეები დაედო საფუძვლად იმ სოციალისტური საზოგადოების აშენებას, რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ. მივსდიოთ დღეს ლენინის სიტყვასა და საქმეს — უწინარესად ნიშნავს ვამკვიდროთ სოციალიზმი. ამიტომ მინდა მოგახსენოთ იმის შესახებ, რაც ახლა, ჩვენს დღეებში, მთავარია პარტიის, მთელი ხალხის ცხოვრებაში: გარდაქმნის შესახებ. უნდა გარდავქმნათ ცხოვრება ჩვენდა სასიკეთოდ, რათა საქმეებში მეტი გვქონდეს ლენინიზმი, მეტი გვქონდეს სოციალიზმი — აი, რას მოგვიწოდებს პარტია, და ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ გარდაქმნის ნამდვილი ნორჩი მებრძოლნი გახდებით.

ვფიქრობ, დღეს ყოველმა თქვენგანმა უნდა შეიგნოს, რისი თქმა გვინდა ამ სიტყვებით. გარდაქმნა ოქტომბრის საქმის განგრძობაა. რევოლუცია გრძელდება! გარდაქმნის ფრონტი გადის ყველგან, სადაც საბჭოთა ადამიანები შრომობენ, მათ შორის გადის სკოლაზეც, პიონერულ ორგანიზაციაზეც. მაშასადამე, თქვენ, პიონერები, ყველანი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე, სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეთ: აკეთებთ კი ყველაფერს, რაც შეგიძლიათ, განა სრული ძალით სწავლობთ და შრომობთ?

გარდაქმნა მრავალმხრივ მოგიწევთ. უფრო თამამად შეებით ნამდვილ სასარგებლო საქმეებს, იმას, რაც თქვენამდე ჯერ არავის უცდია. და იმოქმედეთ ენერგიულად, მტკიცედ. ჩვენ გვჯერა თქვენი და ვიმედოვნებთ, რომ გვეზრდება სოციალიზმისა და კომუნიზმის ნამდვილ მებრძოლთა ახალი თაობა.

იყო გარდაქმნის საქმის მებრძოლი — უწინარესად ნიშნავს, პირადი მაგალითით ამკვიდრებდე ცხოვრების იმ ნორმებს, იმ სტილს სწავლასა და შრომაში, რომელსაც პარტია მოგვიწოდებს. არ უნდა დაგრჩეთ უყურადღებოდ არც ერთი უბანი, სადაც თქვენ, ბავშვებო, ძალგიძთ მიაღწიოთ სასიკეთო ცვლილებებს: სკოლაში, რომელშიც სწავლობთ, ეზოებსა და სახლებში, სადაც ცხოვრობთ, ქალაქსა და სოფელში, სადაც იზრდებით, ბევრი რამ შეგიძლიათ ილონოთ, რათა დაამკვიდროთ ადამიანობა, გულწრფელობა ამხანაგებთან, თვისტომ თანასოფლელებთან, ხანდაზმულ ადამიანებთან, შრომისა და ომის ვეტერანებთან, ინტერნატების აღსაზრდელ ბავშვებთან ურთიერთობაში.

მთავარია, შეგეძლოთ დაიცვათ თქვენი უფლებებიც საკუთარ ორგანიზაციაში, მოაგვაროთ ქმედითი თვითმმართველობა, უფრო თამამად გამოიტანოთ კოლექტიური დასკვნები თქვენი პიონერული ცხოვრების ყოველგვარ საკითხზე. აი, ასე ისწავლით ნამდვილად ცხოვრებასა და შრომას სოციალისტური დემოკრატიის პირობებში, რომელიც ჩვენში სულ უფრო მეტად ფართოვდება.

ძვირფასო ბავშვებო, ნორჩო დელეგატებო!

პიონერული ორგანიზაცია მთელ ქვეყანასთან ერთად ეგებება სამშობლოს იუბილეს — ოქტომბრის 70 წლისთავს. ჩვენ, კომუნისტებს, გვინდა გიხილოთ რევოლუციის მონაპოვართა ნამდვილ მემკვიდრეებად. დაე, ეს გამოეჩინოს სწავლისადმი თქვენს დამოკიდებულებას, მზრუნველობას ამხანაგებისათვის, იმათთვის, ვინც უფრო სუსტია, თქვენს გარჯას ადამიანთა სასარგებლოდ, ყოველივე იმის შეუწყნარებლობას, რაც ხელს გვიშლის, რომ ავაშენოთ ცხოვრება ჩვენი საბჭოთა ნორმებით. დაე, ოქტომბრის 70 წლისთავისათვის თქვენი ნობათი გამხდარიყოს პიონერული ორგანიზაციების რიგების განმტკიცება, მისი შეკავშირება კომკავშირთან, თქვენი სახელოვანი საქმეების ქება-დიდება ქალაქად თუ სოფლად, გამარჯვებანი სწავლაში, სპორტში, შემოქმედებაში!

მინდა მოგიწოდოთ თქვენ, 80-იანი წლების პიონერებს, გაუფრთხილდეთ და არ დახაროთ წითელი პიონერული დროშა, რომელიც ოქტომბრის წითელი ალმის მოძმეა. შეისწავლოთ და გაუფრთხილდეთ იმ ადგილების, სახელებისა და ბიოგრაფიების ისტორიას, რომლებიც უკავშირდება ოქტომბერს, სოციალიზმის მშენებლობას, საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ ბრძოლას, სამშობლოს დაცვას. განამტკიცეთ ჩვენი ინტერნაციონალური ურთიერთობა, ისე მოიქეცით, რომ თქვენ, პიონერები და თქვენი საზღვარგარეთელი თანატოლები გაერთიანებულიყავით და შეკავშირებულიყავით საერთო საქმეებსა და კარგ სიმღერებში, გეგრძნოთ თავი უდიდესი ერთიანი სამყაროს განუყრელ ნაწილებად.

ახალ საზოგადოებას აშენებდნენ და აშენებენ თქვენი მამა-პაპანი და პაპისპაპანი მათ ესტაფეტას იღებენ კომკავშირელები, მათგან კი თქვენ — დღევანდელი პიონერები. არ არსებობს იმაზე უფრო ბედნიერი და უკეთესი გზა, ვიდრე ახალი, სამართლიანი სამყაროს — ადამიანის სასიკეთო და საკეთილდღეო სამყაროსათვის ბრძოლის გზაა.

პიონერებო! კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

**მ. გორბაჩოვი**





# პიონერთა IX საკავშირო შეკრების გადაწყვეტილება

გამოხატავს რა ჩვენი ორგანიზაციის წევრების კოლექტიურ ინტერესებსა და სურვილს, ჩვენმა შეკრებამ გადაწყვიტა: მოქმედების საბრძოლო პროგრამად ვილებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მისალმებას „არტეკში" გამართული პიონერთა IX საკავშირო შეკრებისადმი.

შეკრებაზე ჩვენ ვსწავლობდით ჩვენი მუშაობის პატიოსნად, გაბედულად, თვითკრიტიკულად შეფასებას, ფიქრს პიონერული ორგანიზაციის მომავალზე.

ჩვენ ვიმსჯელეთ VIII-დან IX შეკრებამდე განვლილ გზაზე, გამოვთქვით აზრი ნორჩ ლენინელთა საკავშირო პიონერული მარშის, მისი ეტაპის — „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯების" საქმეებზე.

მარში მთავრდება. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მისი პროგრამა დაგვეხმარა ოქტომბრის 70-ე წლისთავის სამზადისში, გვიკარნახა არაერთი კეთილი საქმე. მაგრამ იმავე დროს იგი ზღუდავდა პიონერთა შემოქმედებით შესაძლებლობებს.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ ბევრ რაზმსა და რაზმეულში ყმაწვილებმა ვერ ისწავლეს ერთობლივად ფიქრი, გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება, მოქმედება, საკუთარ საქმეებსა და საქციელზე პასუხისმგებლობა, ვერ გახდნენ ბატონ-პატრონები პიონერულ კოლექტივებში. ჩვენს შორის ისეთებიც არიან, ვინც ყოველთვის როდი უფრთხილდება ორგანიზაციის ღირსებას, ვინც არღვევს მის კანონებსა და წესს. ჩვენ ნაკლებად ვზრუნავთ ჩვენს ცვლაზე — ოქტომბრელებზე. ყოველთვის როდი ვახერხებთ ნამდვილი საქმის გამონახვას.

ბევრი ჩვენი სიძნელე იმით არის გამოწვეული, რომ ცოტაა ერთგული და ენერიანი უფროსი მეგობრები — პიონერხელმძღვანელები, ინტერესების მიხედვით მოქმედი გაერთიანებებისა და კლუბების ხელმძღვანელები.

გარდაქმნისათვის უნდა იბრძოდეს თითოეული პიონერი, თითოეული რგოლი, რაზმი, რაზმეული. მივუძღვნათ ჩვენი საქმეები დიდი ოქტომბრის იუბილესა და კომკავშირის 70-ე წლისთავს.

ჩვენ მზად ვართ ჩვენს თავზე ავიღოთ XII ხუთწლედში ქვეყნის საერთო საზრუნავის ნაწილი, ვიმუშაოთ შრომით გაერთიანებებში, შევქმნათ პიონერული ბრიგადები, ფაბრიკები, საამქროები, კოოპერატივები, ფერმები, კეთილმომსახურების ბიუროები, გავუფრთხილდეთ სახალხო დოვლათს. მონაწილეობა მივიღოთ ბუნების დაცვაში, ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლების აღდგენაში.

ყველა პიონერის სახელით შეკრება მიმართავს მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს ხელმძღვანელებს: მოგვეცით ობიექტები საჭირო და სერიოზული შრომისათვის.

მოდით, დავდოთ შრომითი ხელშეკრულებები.

დაე, ყოველ ქალაქში, რაიონში შეიქმნას პიონერთა საზოგადოებრივად სასარგებლო და მწარმოებლური შრომის საორგანიზაციო შტაბები. ჩვენი თხოვნაა ნება მიეცეს რაზმეულებს, რაიონულ, საქალაქო პიონერულ ორგანიზაციებს, იქონიონ ბანკში თავიანთი ანგარიშები, თავიანთი საშემნახველო წიგნაკები.

**შეკრება ხაზს უსვამს:**

ქვეყნის ხვალინდელი წარმატებები ეკონომიკაში, მეცნიერებაში, ტექნიკაში, კულტურაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვეკიდებით დღეს სასწავლო შრომას. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ჩვენი ადგილი სასკოლო რეფორმაში, უფროსებთან ერთად უნდა ვიყოთ პასუხისმგებელი მისი წარმატებებისათვის.

**შეკრება მოითხოვს:**

თითოეული პიონერი მოვალეა, სწავლობდეს ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის ნაანდერძევს, ეუფლებოდეს პოლიტიკურ ცოდნას, იცოდეს თავისი ორგანიზაციის ისტორია და გააგრძელოს მისი ტრადიციები, წმინდად ასრულებდეს პიონერთა კანონებს, იცავდეს პიონერულ რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებს, იბრძოდეს ორგანიზაციის ღირსებისა და ავტორიტეტისათვის. მკაცრად მოვკითხოთ იმათ, ვინც არღვევს პიონერული ცხოვრების ნორმებს, ორგანიზაციიდან გარიცხვამდეც კი.

შეკრება მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის პიონერებს, გალი ტრადიციების შესახებ.

შეკრება მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის პიონერებს განამტკიცონ მეგობრობა პლანეტის ბავშვებთან. არავის არ მივცემთ ნებას გამოამჟღავნონ ქედმაღლობა, უპატივცემულობა ხალხების ეროვნული ღირსების, ენის, კულტურისადმი, რუსული ენისადმი, როგორც ეროვნებათა შორის ურთიერთობის საშუალებისადმი.

გავხდებით აქტიური მონაწილენი „СИМЕА"-ს აქციისა, „ბავშვები ერთად აშენებენ მშვიდობას", დღენიადაგ შევავსებთ პიონერული სოლიდარობის ფონდს № 700409 ანგარიშზე.

ავაღორძინებთ ნამდვილ თემურულ ზრუნვას მათ მიმართ, ვისაც ჩვენი დახმარება და მხარდაჭერა ესაჭიროება. აქტიურად ვითანამშრომლებთ ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა საბჭოთა ფონდთან.

შეკრება პიონერული რაზმების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს შემდეგს: ჩვენი ორგანიზაციის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული ოქტომბრელებთან მუშაობაზე. ჩვენ ოქტომბრელთა შეფები კი არა, წინამძღოლები ვართ. პრინციპულად მოვეკიდებით პიონერთა რიგებში მიღებას. სერიოზულად მოვკიდებთ ხელს უმცროს პიონერებთან მუშაობას.

ჩვენ მზად ვართ უფროსებთან ერთად ვისწავლოთ დემოკრატია და თვითმმართველობა. საქმით დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ძალგვიძს ვიმოქმედოთ უფრო დამოუკიდებლად, თვითონვე განვსაზღვროთ, როგორ იცხოვრონ რაზმმა და რაზმეულმა, რომ ჩვენ ღირსნი ვართ პიონერულ ორგანიზაციათა საბჭოების, კომკავშირის კომიტეტების, მასწავლებლების დიდი ნდობისა. თხოვნა გვაქვს, პიონერული ორგანიზაციის დებულების გათვალისწინებით სკოლის წესდებაში შეტანილ იქნეს რაზმეულების უფრო ფართო უფლებები სასკოლო ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაში.

ჩვენი წინადადებაა, ნორმად გადაიქცეს პიონერული ცხოვრების საკითხების განხილვა პიონერების მონაწილეობით, საჭიროების მიხედვით შეკრებებს შორის მოწვეულ იქნეს რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური, საკავშირო პიონერული თავყრილობები. ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ვთხოვთ იფიქროს პიონერულ ორგანიზაციათა საბჭოების შემადგენლობაში პიონერების შეყვანის საკითხზე.

შეკრება იწონებს საყოველთაო პიონერული დისკუსიის შედეგებს და მიაჩნია, რომ საჭიროა მომავალშიც ჩატარდეს დისკუსიები ყველა პიონერისათვის მნიშვნელოვანი პიონერული პრობლემების განსახილველად.

ავამაღლოთ პიონერული შეკრების, როგორც თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს როლი, არ დავუშვათ მისდამი ფორმალური დამოკიდებულება.

პიონერული შტაბები განთავისუფლდნენ კარჩაკეტილობისაგან, გადაიქცნენ პიონერული ცხოვრების ორგანიზატორებად ქალაქებსა და რაიონებში.

შეკრება უფლებას აძლევს რგოლებს, რაზმებს, რაზმეულებს შეკრების გადაწყვეტილებით განახორციელონ პიონერული თვითმმართველობის უფრო ხშირი ცვლა.

შეკრება ითვალისწინებს დელეგატების სურვილს, შეიქმნას სხვადასხვა ასაკოვანთა რაზმები: სცადეთ, ჩაატარეთ ექსპერიმენტი, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ეს მართლაც აუცილებელია, როცა არის პირობები, როცა ეს წარმოადგენს პიონერთა უმრავლესობის სურვილს და დადასტურებულია შეკრების გადაწყვეტილებით.

შეკრება მოითხოვს, უფრო მეტი პასუხისმგებლობითა და მკაცრად, ინდივიდუალურად ხდებოდეს „უფროსი პიონერის" წოდების მინიჭება და წინადადება შემოაქვს განიხილებოდეს იგი, როგორც ალკკ რიგებში შესვლის პირველი რეკომენდაციაც.

კომკავშირის კომიტეტების მიერ მიღწეულ იქნეს საჯაროობა და სამართლიანობა საკავშირო და რესპუბლიკური ბანაკების საგზურების განაწილების საქმეში.

შეკრებას მიაჩნია: რაზმეულის შეხედულების მიხედვით პიონერს შეუძლია ჰქონდეს პირადი წიგნაკი.

შეკრება მიმართავს კომკავშირის კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, შემოქმედებით კავშირებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მშობლებს: ჩვენ თქვენი დახმარება გვჭირდება.

გამოგზავნეთ რაზმეულებში ნიჭიერი უფროსი პიონერხელმძღვანელები, რომლებსაც სურთ პიონერული მუშაობა გასწიონ. ჩვენ მივესალმებით ალკკ XX ყრილობის გადაწყვეტილებას პიონერხელმძღვანელთა მომზადების ახალი სისტემის შექმნის თაობაზე. გთხოვთ, წესად გაიხადოთ: პიონერხელმძღვანელის გარეშე რაზმი ვერ შეიქმნება. ნება მოგვეცით, ჩვენ თვითონვე ავირჩიოთ რაზმის ხელმძღვანელი.

ჩვენ ველით ნორჩი ლენინელებისადმი მიძღვნილ კარგ წიგნებს, პლაკატებს, ფილმებს, სპექტაკლებს, სიმღერებს, ტელეგადაცემებს, პიონერულ მუშაობაში ხელმისაწვდომ მეთოდურ რეკომენდაციებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა ამაღლდეს პიონერული ჟურნალ-გაზეთების როლი პიონერული ცხოვრების გარდაქმნაში.

ჩვენ გვჭირდება თანამედროვე პიონერული ფორმა, ნაირგვარი განმასხვავებელი ნიშნები, ლამაზი და გამძლე პიონერული ატრიბუტები და სიმბოლიკა. ჩვენ მზად ვართ ჩვენი კონტროლი დავაწესოთ პიონერებისათვის განკუთვნილი საქონლის ხარისხზე, მონაწილეობა მივიღოთ მათ შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსებში. გთხოვთ, პიონერული სიმბოლოები არ იყიდებოდეს თავისუფლად.

ჩვენ არ გვყოფნის პიონერთა სახლები და სასახლეები, სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებები, განსაკუთრებით სოფლად. ჩვენი თხოვნაა, სკოლების მშენებლობის დროს დაპროექტდეს პიონერული ოთახები, პიონერული დიდების დარბაზები, პიონერული მუზეუმები.

შეკრება წინადადებას იძლევა, პიონერული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე შემოღებულ იქნეს საინტერესო გამოცდილების „ყულაბა", რომელშიც პირველი ანაბარი შეკრების დელეგატებმა შეიტანეს.

შეკრება მიმართავს ქვეყნის ყველა პიონერს: ის, თუ როგორი იქნება ჩვენი ორგანიზაცია, უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ჩვენზე, ყველაზე და თითოეულზე. თითოეული დელეგატი პირადად აგებს პასუხს შეკრების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ვიმუშაოთ ისე, რომ პიონერული წლები იქცეს გაბედული გადაწყვეტილებებისა და დიდი საქმეების, მუდმივი წინსვლის წლებად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად მუდამ მზად ვართ!

**შეკრების შტაბის წევრები: ივანოვი, პრანავიჩიუსი, ჩერნიშოვი, პოლოვანოვა, ევტუშენკო, ხოჯიმატოვი, სეიტმურადოვი, რისკულოვი, ბაგოშიძე, უზუნი, ბაბაიანი, კოზლოვი, პოძარიცკაია, სააკიანი, ბაიშუკი.**



# მზით მოფენილი სიკეთე

ჩემო ნორჩო მეგობრებო!

მიხარია, რომ საშუალება მომეცა, გესაუბროთ თქვენი საყვარელი ჟურნალის ფურცლებიდან. მერწმუნეთ, ხშირად მიხდება ხოლმე თქვენს თანატოლებთან შეხვედრა, მაგრამ „პიონერის“ ასიათასობით მკითხველთან პირისპირ დადგომა მაინც უფრო საპატიო, სასიამოვნო და საპასუხისმგებლო საქმედ მეჩვენება.

შესაძლოა, ბევრი თქვენგანის პაპა ჩემი კბილა, ანუ თითქმის საბჭოთა საქართველოს თანატოლი იყოს (მეტ-ნაკლები განსხვავებით). თუ ასეა, ისინი უთუოდ გიამბობდნენ ზოგიერთ რამეს იმ სიკეთეზე, რაც ქვეყანაში ოქტომბრის მზის ამონათებას მოჰყვა. მეც, ჩემი მხრივ, შევეცდები, მცირეოდენი რამ დავუმატო მათ ნაამბობს, უწინარესად — საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების მაგალითზე.

დავიბადე ხარაგაულის (ახლანდელ ორჯონიკიძის) რაიონის სოფელ ლორეშაში (სერგო ორჯონიკიძის მშობლიურ სოფელში) 1929 წლის 25 თებერვალს (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს) გლეხის მრავალრიცხოვან ოჯახში. ხუთი და-ძმა ვიყავით. ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით ჩვენ, მშობლები, ბებია, ბაბუა, მამის ძმები, მამიდა, ბიცოლა — სულ 14 სული. მშრომელი, გამრჯე, პატიოსანი ოჯახი გვქონდა, მაგრამ ისევე, როგორც მეზობელი გლეხების უმრავლესობას, შემოდგომიდან შემოდგომამდე ჭაპანწყვეტით გაგვქონდა თავი.

ამას უფრო ჩემი მშობლებისა და მათი მშობლების ნაამბობით ვამბობ, თორემ უკვე მაშინ ჩემს ბავშვობაში, საკუთარი თვალით ვხედავდი და ვატყობდი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და განუხრელ წინსვლას.

1954 წლის თებერვლიდან ვმუშაობ ქარხანა „ცენტროლიტში“, სადაც ჯერ მეკოპის მოწაფე ვიყავი (ჩემი პირველი მასწავლებლები იყვნენ უფროსი ბიძაშვილი ვლადიმერ კურტანიძე და ელგუჯა ქავთარაძე), მერე — მესამე თანრიგის მეკოპე, 1961 წლიდან კი — მეკოპეთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

გიყვებით ამას, ბავშვებო, და თითქოს ვხედავ თქვენს ოდნავ დაბნეულ სახეებს — ჩემი ბიოგრაფიის ამ ნაწილში უჩვეულო და საკვირველი არაფერია. მართლაც: რიგითი გლეხკაცის შვილი, სწავლა, ომის სიძნელეები, არმია, მერე — საწარმო, მოწაფიდან-მუშამდე, მუშიდან-ბრიგადირობამდე... სავსებით ჩვეულებრივი ისტორიაა. ასეთი ისტორიის მქონე მუშაკაცი ხომ ათეულმილიონობითაა საბჭოთა კავშირში.

დიახ, ასეა, მაგრამ ერთხელ...

ერთხელ ქარხანაში კორესპონდენტი მოვიდა. მოწინავე მუშაზე ნარკვევი უნდა დაეწერა. ხელმძღვანელებს დაეკითხა და იმათ ჩემზე მიუშვირეს თითი.

არადა, ახლაც მჯერა — მნიშვნელოვნად როდი გამოვირჩეოდი ჩემი მეგობრებისაგან, იქნებ — ოდნავ მეტი შრომის ნაყოფიერებით, იქნებ — ოდნავ მეტი კეთილსინდისიერებით... იქნებ სულაც ერთნაირები ვიყავით, მაგრამ, დიდი ილიასი არ იყოს( ლუარსაბს რომ ეუბნება „კაცია-ადამიანის?!“ წინასიტყვაობაში — შენ სხვებსა ჰგავხარ და სხვები კიდევ შენაო), ერთნაირებისაგან ერთი ამოარჩია იმ კორესპონდენტმა და ქვეყანას დაანახა — მეკოპეთა საამქროში ასეთი კარგი ბიჭები მუშაობენო.

მთავარი ერთია — შრომა დამიფასდა!

შრომას კი ფასი, ჩემო ნორჩო მეგობრებო, მხოლოდ ოქტომბრის შემდეგ დაედო და დაეფინა. თორემ რამდენი ბეჯითი მუშაკაცი იყო ცარიზმის დროს, საქვეყნოდ გამოჩენა კი არა, ცოლ-შვილისათვის ლუკმაპურის ფულიც რომ ენატრებოდათ.

თავიდან ბრიგადაში ცხრანი ვიყავით, მერე ჩვენი ქარხნის კარიც შემოაღო მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, ცოტა ჩვენც გავისარჯეთ, ტექნოლოგიური პროცესი დავხვეწეთ, გავაუმჯობესეთ და ახლა ოთხკაციანი ბრიგადა იმავე საქმეს აკეთებს (და უკეთესადაც), რასაც ადრე ცხრანი ვაკეთებდით.

ხუთი წელი გავიდა ქარხანაში ჩემი მოსვლიდან და ნაყოფიერი შრომისათვის საპატიო ნიშნის ორდენით დამაჯილდოეს. ეს იყო 1959 წელს.

ისევ გამომარჩიეს თანატოლთაგან! და ისევ კიდევ ერთხელ დავაჯერე თავი, რომ რაკი პიროვნების სახეს კოლექტივი ქმნის, ჩემი ორდენიც მთელი კოლექტივის, მისი ყველა წევრის ჯილდოა-მეთქი.

ახალ დაფასებას უფრო ბეჯითი შრომით ვუპასუხე. სხვანაირად არც

შეიძლებოდა ყოფილიყო — მე, იმერელი გლეხკაცის შვილი, მსოფლიოს მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე რაზმის წევრი, გამომარჩიეს და სხვებს ჩემი პიროვნება მაგალითად დაუსახეს. მაშასადამე, უფლება არა მაქვს, ადგილზე ვიდგე — უნდა ვიარო წინ, უნდა გავიასკეცო ენერგია, ავამაღლო შრომის ნაყოფიერება, ამავე დროს, დავეხმარო სხვებსაც. მით უმეტეს, რომ საამისოდ ყველა პირობა მაქვს შექმნილი — მე ხომ თავისუფალი შრომის ქვეყანაში (ილიას ტერმინით — „ახსნილი შრომის" ქვეყანაში) ვცხოვრობ.

1963 წელს ამირჩიეს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მას შემდეგ ყველა მოწვევის დეპუტატი ვარ — მაშასადამე, სისტემატურად ვმონაწილეობ რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში.

მუშა — სახელმწიფო მოღვაწე! ასეთი რამ მხოლოდ დიდი ოქტომბრის ქვეყანაშია შესაძლებელი!

სხვადასხვა დროს ვიყავი საქართველოს კომპარტიის 21-ე და მომდევნო ყრილობების, სკკპ 25-ე ყრილობის, აგრეთვე საზოგადოება „ცოდნის", გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა, მასწავლებელთა საკავშირო ყრილობების დელეგატი.

1971 წელს ნაყოფიერი და თავდადებული შრომისათვის დამაჯილდოეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, 1974 წლის 3 იანვრის ბრძანებულებით მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, 1979 წელს გავხდი საქ. სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, 1980 წელს ამირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ.

რომელი კაპიტალისტური ქვეყნის მუშას შეუძლია თავი მოიწონოს საკუთარი შრომის ამგვარი დაფასებით? არც ერთის, არსად და არავის!

სხვა მხრივაც დამიფასდა შრომა. ქარხანამ მშვენიერი სამოთახიანი ბინა მომცა იქვე ახლოს, ლიბანის ქუჩაზე, გარემონტებასა და კეთილმოწყობაშიც დამეხმარა, საგარაკე ნაკვეთიც გამომიყო, საგზურებსაც ხშირად მაძლევს — მოვიარე ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, შვეიცარია, საფრანგეთი, ეგვიპტე, აშშ...

წეღან გითხარით, მშრომელი ოჯახის შვილი ვარ-მეთქი. ახლა მშრომელი ოჯახის მამაც ვარ. მეუღლე ცენტროლიტის საბავშვო ბაღის აღმზრდელია. სამი ქალიშვილი მყავს, სამივემ ორი-სამი წელი იშრომა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ახლა სამივენი სწავლობენ და მალე ერთი ექიმად მოევლინება ქვეყანას, მეორე — ინჟინრად, მესამე — ეკონომისტად. სამივეს უზრუნველყოფილი აქვს სამუშაო ადგილი.

ესეც ოქტომბრის მზით მოფენილი სიკეთეა.

იყო დრო, ბავშვებო, როცა ვ. ი. ლენინი სულ რაღაც რამდენიმე ათას ტრაქტორზე ოცნებობდა... ახლა? რა ბედენაა რამდენიმე ათასი ტრაქტორი, როცა არა მარტო ცალკეული საამქროები, არამედ მთელი ქარხნები ავტომატურად მუშაობენ! ტრაქტორებს რადიოთი მართავენ! მიწის სიღრმეში რობოტები საქმიანობენ! ფიზიკურ შრომას მალე მთლიანად შეცვლის მანქანა-იარაღების შრომა, აღკვეთილია უმუშევრობა, მოისპო შიმშილობის საფრთხე, ყველა პირობაა შქმნილი ჯანმრთელი ცხოვრებისათვის, საყოველთაო განათლებისათვის, მეცნიერების მწვერვალების დაუფლებისათვის, ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ყველაფერი ეს — ოქტომბერმა მოიტანა.

ოქტომბრის მონაპოვარია, გარდა ამისა, ის ურთიერთობა, რომელიც უფროს და უმცროს თაობათა შორის დამკვიდრდა. მე ვგულისხმობ არა მარტო აღმზრდელ-აღსაზრდელის, მასწავლებელ-მოსწავლის ჩვეულებრივ ურთიერთობას, არამედ უფროსისა და უმცროსის ერთობლივ საქმიანობას უკეთესი მომავლის მოსაპოვებლად. ამგვარი საქმიანობის ერთ-ერთ მოხდენილ სახედ საშეფო ურთიერთობა მიმაჩნია.

აი, მაგალითად, ჩვენი ქარხანა 119-ე საშუალო სკოლას შეფობს. ამ სკოლის შენობა ქარხანამ ააგო, ქარხანავე უტარებს ყოველწლიურ რემონტს, გათბობასაც ცენტროლიტის საქვაბისაგან ღებულობს სკოლა. ყოველ სასწავლო წელს, პირველი და ბოლო ზარის ზეიმზე, მივდივართ ხოლმე სკოლაში, პირველკლასელებს სწავლის დაწყებას ვულოცავთ, კურსდამთავრებულებს — ცხოვრების ფართო გზაზე შედგომას; წარჩინებულებს ქარხნის კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების სიგელებით ვაჯილდოებთ. ყოველწლიურად ამ სკოლის მეცხრეკლასელები ცენტროლიტში ატარებენ შრომით სემესტრს. შედეგით ორივე მხარე კმაყოფილი რჩება: ჩვენ ღირსეულ ცვლას ვიმზადებთ, ახალგაზრდებს კი უადვილდებათ პროფესიის არჩევა და მერე — ამ პროფესიის წარმატებით დაუფლება. ცენტროლიტში ამჟამად მუშაობენ 119-ე სკოლის კურსდამთავრებულები — ე. ქავთარაძე, ჯ. ჭყოიძე, დ. ქოქოსაძე და ბევრი სხვა. მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, აგრეთვე, 36-ე პროფტექნიკურ სასწავლებელთან და ქალაქის ბევრ სკოლასთან.

აი, გესაუბრებით და კიდევ ერთხელ დამიდგა თვალწინ ჩემი ცხოვრების გზა, ყველაფერი ის, რაც მე და ჩემს თანამემამულეებს, მთელ ჩვენს ხალხს მოგვიტანა ოქტომბერმა. რანი ვიყავით და რანი ვართ! მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ მიღწეულით დაკმაყოფილების, თვითდაჯერების საბაბი და უფლება გვქონდეს! არა, დღეს, ახალ პირობებში, როცა პარტიამ ჩვენი საზოგადოების თვისებრივი გარდაქმნის პროგრამა დასახა, ჩვენც და თქვენც, უფროსებმაც და უმცროსებმაც, ჩემო ნორჩო მეგობრებო, ხელი ხელს უნდა ჩავჭიდოთ, განვაგრძოთ რევოლუციური ტრადიციები და ვამრავლოთ, განვამტკიცოთ, მეტ სიმაღლეზე ავიყვანოთ ყველაფერი საუკეთესო, რაც ოქტომბრის რევოლუციამ მოგვიტანა.

დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავს მოგილოცავთ, ჩემო ნორჩო მეგობრებო, ერის ხვალინდელო დღევ!

**გიორგი კურტანიძე,**
სოციალისტური შრომის გმირი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible]

**მანანა გელაშვილი**

...ის იყო, წამოქინქლა. პატარა გოგონამ ტყაპატყუპით გადმოირბინა ეზო, ზღურბლთან საგულდაგულოდ დაიწმინდა ფეხები, შენობაში შეცუნცულდა, კრძალვით მიესალმა უფროსებს, ხელმარჯვნივ გაუყვა დერეფანს და ახლა ერთ-ერთი ოთახის შესასვლელთან გაფენილ ტილოს ლამის გაცვეთამდე უსვა სანდლის ძირები. ადრე მოსულხარ და ნეტავ რატომო, — გაიკვირვა აღმზრდელმა. ოთხი გაკვეთილი გვქონდაო, — უპასუხა გოგონამ, მძიმე სასკოლო ჩანთა სკამზე ჩამოდო და ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა...

პატარა ფიქრია საბავშვო სახლის დიდი ოჯახის ახლად შემომატებული წევრი აღმოჩნდა. ისევე, როგორც აქაური ბავშვების უმეტესობა, ისიც ცხოვრების გაუკუღმართებულმა მდინარებამ გამორიყა ამ ნავსაყუდელთან, რომლის საიმედოობა და სითბო უთუოდ დაეხმარება მას, ყველაფრის მიუხედავად, ქვეყნად სიკეთის ზეობის რწმენით გადადგას პირველივე დამოუკიდებელი ნაბიჯი.

დღიდან თბილისის № 1 საბავშვო სახლის არსებობისა (იგი 1921 წელს დაარსებულა სერგო ორჯონიკიძის მეუღლის, ქალბატონ ზინაიდას ხელშეწყობით და პირველ ხანებში ვაკის საბავშვო სახლი რქმევია), ბევრმა აქ აღზრდილმა ბავშვმა გაიყოლა ცხოვრების სავალ გზაზე საგზლად მისთვის უშურველად გაღებული სითბო, ბევრმა შეძლო დაემორჩილებინა მშობლების უპასუხისმგებლობის, ცხოვრების უსამართლო თუ ულმობელი დარტყმის შედეგად გამრუდებული ბედით მოგვრილი, თითქოსდა სამუდამოდ აღევნებული ნაღველ-ტკივილი, მოძებნა თავისი ადგილი ცხოვრებაში და საზოგადოების სრულუფლებიანი წევრიც გახდა. ასე იქნება ფიქრიაც და თუ სახლის აღმზრდელ-მასწავლებელთა კოლექტივის წევრები მომავალში დღეს მათ კალთას შემოფარებულ ამ პატარასაც ასეთად დაიგულებენ, მადლიერებად შემობრუნებული გაღებული სიკეთე კიდევ უფრო გაამრავლებს მათ ბედნიერებას.

სიკეთე, სითბო და კიდევ — მოთმინება, ალღო, პატარების სულის ტკივილის გაზიარებისა და გაყუჩების უნარი, მათი მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ჰქონდეს პირველ რიგში იმას, ვინც საბავშვო სახლში მოვა სამუშაოდ — აღმზრდელ-მასწავლებელი იქნება, პიონერხელმძღვანელი, ძიძა თუ დამლაგებელი. ხოლო დირექტორს, გარდა იმისა, რომ ყველა ეს თვისება ათგზის უფრო ძლიერი უნდა ჰქონდეს, შეუპოვრობა, ენერგიულობა, ხასიათის სიმტკიცე, საკუთარი სიმართლის დამტკიცების უნარი, მიზნის მიღწევის ძალაც უნდა შესწევდეს უთუოდ. სწორედ ამ თვისებების წყალობით უძღვება ქალბატონი ნონა მაღრაძე, აგერ უკვე შვიდი წელია, თბილისის № 1 საბავშვო სახლს. სხვანაირად როგორ აუვიდოდა ამდენ საზრუნავ-საფიქრალს, გადასაჭრელსა და გასაკეთებელს, მისაღწევსა და მოსაპოვებელს. სამწუხაროდ, დღესაც ხომ ჯერ კიდევ მხოლოდ დიდი ბრძოლით თუ მოიპოვება აუცილებელი და საჭირო, თუმცა, ალბათ, როგორც თავად ქალბატონ ნონასაც სწამს, ბავშვთა სახლების თაობაზე ახლახან მიღებული დადგენილებით შეიარაღებულ ბავშვთა სახლის დირექტორს ბევრად უნდა გაუადვილდეს არსებული პრობლემების გადაჭრა, ჩანაფიქრის განხორციელება.

ბავშვთა სახლის სინამდვილეში ერთი ასეთი გამოთქმაც იხმარება — ძნელადშემგუებელი ბავშვი. რაც უნდა გაუსაძლისი იყოს ბავშვისთვის მშობლიურ სახლში ცხოვრება და რაც უნდა კარგი პირობები ჰქონდეს სა-

დღეს სასადილოში ირინე თითბერიძე მორიგეობს.

ბავშვო სახლში, მას მაინც შინისკენ ეწევა გული, იქ ურჩევნია და ძალიან უჭირს, მეტადრე პირველ ხანებში, აქაურობასთან შეგუება. ალბათ ამ მომენტის დასაძლევადაც გადაწყდა არსებული, ასაკის მიხედვით დაკომპლექტებული სააღმზრდელო ჯგუფების ნაცვლად ე. წ. ოჯახური რაზმები შემოეღოთ. თითოეულ ამგვარ რაზმში ყველა ასაკის ბავშვია თავმოყრილი და, როგორც ჩვეულებრივ ოჯახშია, აქ უფროს-უმცროსი დაძმობის პრინციპი მოქმედებს. უფროსი ასაკის გოგო-ბიჭები პასუხს აგებენ უმცროსებზე, უვლიან და ეხმარებიან მათ, ესენი კი, თავის მხრივ, უგონებენ მათ, იფერებენ ამ მეურვეობას, თუმცა, ბუნებრივია, ამ ურთიერთობაში არც მცირე კონფლიქტები გამოირიცხება. შარშან აქ ერთადერთი ასეთი ჯგუფი იყო და ყველას სწორედ ამ ჯგუფში ეწადა მოხვედრა. წელს კი ბავშვები მხოლოდ ოჯახური ნიშნით დაანაწილეს. როგორც დიდი ოჯახი გაიყოფა ხოლმე და პატარ-პატარა ოჯახებად, თუმცა კი დიდისგან მოუწყვეტლად, განაგრძობს ცხოვრებას, ისე ცხოვრობენ ეს რაზმებიც. თითოეულ მათგანს აქვს თავისი „საკუთარი ბინა“ — საწოლი და სამეცადინო ოთახებით, საშხაპით, საპირფარეშოთი. და ამ ოჯახ-ჯგუფებში უკვე გამოჩნდნენ უფროსი ასაკის გოგონები, რომლებმაც დანარჩენების მოვლა-პატრონობის ისეთი უნარი გამოიჩინეს, მრავალშვილიან დედასა და მზრუნველ უფროს დას რომ ახასიათებს ხოლმე. აი, მაგალითად, ვერა საფაროვი, ამალია ოგანესიანი, თამილა რამაზანოვი — ეს გოგონები კიდეც უვლიან უმცროსებს, კიდეც ამეცადინებენ, მოქცევასაც ასწავლიან, სატკივარსაც გაუყუჩებენ და ძილის წინ თავზეც გადაუსვამენ მზრუნველობით ხელს. შეიძლება, ისინი მერე ისევ ბავშვთა სახლს მოუბრუნდნენ, ოღონდ უკვე აღმზრდელ-მასწავლებლებად, ისე, როგორც იმენა მარღიშვილი, ანა ქავალიანი, ზინაიდა ბზუკაშვილი მობრუნდნენ თავის დროზე და რამდენიმე ათეული წელია მუშაობენ აქ. იქნებ ასე არც მოხდეს და ერთმა ექიმობა მოინდომოს, მეორემ — ისტორიკოსობა, ხოლო მესამემ — ქიმიკოსობა, ის კი უცილოა, რომ თითოეული მათგანი მზრუნველი დედა დადგება. და, რაღა თქმა უნდა, ისევე, როგორც აქ აღზრდილი გოგონების უმრავლესობას, ხელსაქმეც ეცოდინება, ნაირ-ნაირი კერძების კეთებაც და გემრიელი ნამცხვრების ცხობაც. ბავშვთა სახლში მოქმედ წრეებში ხომ ჭრა-კერვასაც ასწავლიან (ხელმძღვანელი ნინო ბურდული) და კულინარიასაც (ხელმძღვანელი მაყვალა ბლუაშვილი). ეს — გოგონები. ბიჭები კი ხის დამუშავებას სწავლობენ (ხელმძღვანელი გივი ჯინ-





საბავშვო სახლში ყველამ კარგად იცის თინა მურადოვის ნამცხვრების გემო.

როგორც უმცროს ძმას, ისე აკოხტავებს პატარა ირაკლის ირმა ბერუაშვილი.

ჭარაძე). აქაურ ხელმარჯვეთა და კულინართა სანაქებო ნახელავი ყველანაირ გამოფენა-კონკურსებზე დიდ მოწონებას იმსახურებს. ძალიან მოსწონთ ბავშვებს დრამწრე. აქაური თოჯინების თეატრი (ხელმძღვანელი ლევან ხიზანიშვილი) ლამის პროფესიულ თეატრებს არ ჩამოუვარდება. გახსოვთ, ქალაქში თოჯინების თეატრ-ტროლეიბუსი რომ გამოჩნდა? სწორედ აქაური ბავშვები შეადგენდნენ მის შემოქმედებით დასს. ცოტა



ცოტასაც იტიკტიკებენ ირმა ხუბუა და ნანა ლიქოკელი და მერე გაკვეთილებს მიუსხდებიან.

ხნის წინათ თბილისში გამართულ ახალგაზრდულ დღესასწაულზე ელადა კვაჭანტირაძემ, მზია ღვინეფაძემ, გიორგი ჯავახიშვილმა, თინა მურადოვმა და სხვებმა ხუთჯერ უჩვენეს თავიანთი წარმოდგენა. ბავშვებს სპორტულ წრეებში მეცადინეობის საშუალებაც აქვთ. ბევრი, მაგალითად, ცურვაზე დადის, ზოგი ჭადრაკს ეტანება, ზოგიც — ჭიდაობას.

კიდევ ერთი დასანერგად ჩაფიქრებული სიახლე გამოსცადეს შარშან საბავშვო სახლში — თვითმმართველობის დღე. ბავშვები ყველაფერს თვითონ აკეთებდნენ. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესიც მათ მიანდეს,



სიხარული მოაქვს შორენა წიწიკაშვილის ყველა გამოსვლას.

საწყობიც და სასადილო-სამზარეულოც. მენიუც თვითონ შეადგინეს უმრავლესობის სურვილის გათვალისწინებით და, რაღა თქმა უნდა, იმ სურვილებში ხინკალი, ხაჭაპური და მწვადი სჭარბობდა. სიახლე ყველამ ერთხმად მოიწონა და ამიერიდან ყოველ შაბათს საბავშვო სახლში მმართველობა ბავშვების ხელში გადავა ხოლმე.

აღმზრდელ-მასწავლებლები ხომ კარგები ჰყავთ აქაურ ბავშვებს, შეფებიც ძალზე გულისხმიერი და მზრუნველები არიან მათ მიმართ. სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა, ლაგოდეხის რაიონის სოფ. აფენის კოლმეურნეობა, ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადი", პოლიგრაფისტთა კულტურის სახლი, სასტრადო-საცირკო სასწავლებელი ყურადღებასა და საქმიან დახმარებას არ აკლებენ საბავშვო სახლს. პარტიისა და კომკავშირის პირველი მაისის რაიკომებს ხომ მუდმივი ზრუნვის არეში ჰყავთ მოქცეული. საბავშვო სახლში მოხვედრილ ბავშვებზე მზრუნველთ, და პირველ რიგში აღმზრდელ კოლექტივს, არასდროს არავიწყდებათ, რომ ეს გოგო-ბიჭები არაფრით არ უნდა განსხვავდებოდნენ სხვა თავიანთი თანატოლებისაგან. თუნდაც სკოლაში ყოფნისას (აქაურები მახლობელ, 147-ე სკოლაში სწავლობენ), ისევე უნდა იყვნენ კარგად ნასაუზმევი, ჩაცმულ-დახურულები, დაბანილ-დავარცხნილები, გაკვეთილებმომზადებულები; არც ერთ მათგანს არ უნდა აკლდეს არც ერთი სასწავლო ნივთი; არც თვითონ უნდა ახსოვდეთ და არც სხვას, რომ ისინი დედას და ბებიას არ გამოუსტუმრებიათ შინიდან. არც სკოლა აკლებს თავის მხრივ ცდას (147-ე სკოლას ხელმძღვანელობს საბავშვო სახლის ყოფილი მასწავლებელი ანზორ ჩაფიძე) და ცოდნით აიარაღებს მათ, საუკეთესო ადამიანურ თვისებებს უვითარებს თითოეულ მათგანს.

სხვადასხვა ასაკის (6-დან 14 წლამდე), სხვადასხვა ბუნებისა და ზნის ბავშვებს იფარებს საბავშვო სახლის საიმედო კალთა (ამჟამად აქ 116 ბავშვია). გაათბობენ აქ მოსულებს, აფორიაქებულ სულს დაუმშვიდებენ, რწმენას ჩაუნერგავენ, ასწავლიან, დააკვალიანებენ და დაემშვიდობებიან. მიდიან რვაკლასდამთავრებული გოგო-ბიჭები, თვალცრემლიანები ემშვიდობებიან აღმზრდელ-მასწავლებლებს, უმეტესობა პროფტექნიკურ სასწავლებელში განაგრძობს სწავლას, ზოგი ოჯახს, ნათესავებს უბრუნდება. მიდიან და აუცილებლად ბრუნდებიან — როცა უჭირთ, მაშინაც და როცა ულხინთ, მაშინაც. იციან, რომ ამ თბილ სახლში აუცილებლად მოუსმენენ, სიხარულს გაუათკეცებენ, ვარამს შეუმსუბუქებენ, დაამშვიდებენ, გამხნევებენ, ურჩევენ, დაეხმარებიან. თუ ვერ მოდიან, წერილებს სწერენ, უყვებიან თავიანთ საქმიანობაზე, ოჯახურ ცხოვრებაზე, მიღწევებსა თუ გულისტკივილზე, და არასდროს, არასდროს ივიწყებენ მადლობის თქმას...

ფოტო დ. იაკობაშვილისა




# რას ნიშნავს სიტყვა „პიონერი"

ჩვენთან სტუმრად არის ესტონეთის ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს საბავშვო ჟურნალი

PIONEER

•

გაისურავ კარს თუ არა, მყისვე
წიგნს გადავშლი —
გამოცდა მაქვს ხვალე,
მაგრამ თუკი მობრუნდები, ისევ
მხოლოდ შენ ერთს
მოგანათებ თვალებს.
ეს რა მომდის,
მე თვითონ არ ვიცი,
გული ჩემი უცნაურად რეკავს.
ვით ვიკითხო? —
თვალებში დგას ნისლი,
ვხედავ მარტო ასოების ცეკვას.

•

პირველი თოვლი, პირველი კვალი,
სიჩუმე ირგვლივ, სივრცე ნათელი,
პირველი აღთქმა, წრფელი და
წყნარი,
ფაქიზი, როგორც თეთრი ფანტელი.
სიწყნარე — სხვა არც გვინდა ქონება.
მივდივართ. ნდობით ძგერენ გულები
და ნაღდი ლექსის წყვილ
სტრიქონებად
რჩებიან ჩვენი ნაფეხურები.

ავე მალკენი,
როკვერეს 1-ლი საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

ესტონეთის სსრ ჩვენი ვრცელი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პატარა რესპუბლიკაა. გვეძახიან ჩრდილოელებსაც და ზღვისპირელებსაც, რადგან, ჯერ ერთი, მზეს წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში ვხედავთ და მეორეც, ბალტიის ზღვისა და ფინეთის ყურის ნაპირებზე ვცხოვრობთ. მოსახლეობა ესტონეთისა 1,5 მილიონს შეადგენს.

როგორები არიან ჩვენი გოგონები და ბიჭუნები? ქართველ ბავშვებთან შედარებით, ისინი იქნებ თავშეკავებულები ჩანან, მაგრამ, დამერწმუნეთ, ხშირად ცელქობენ და ნამდვილი მხიარულებაც იციან. როგორი საქმიანობა უფრო იტაცებთ? ბიჭუნებს სპორტი და ტექნიკა არ ეთმობათ, გოგონები ძირითადად მუსიკის, ცეკვისა და ხელსაქმის წრეებში არიან ჩაბმულნი.

ესტონელებს სიმღერის ხალხად გვიცნობენ. ათობით ათას სიმღერის მოყვარულს აერთიანებს ჩვენი სიმღერის დღესასწაულები, რომლებიც უკვე ასზე მეტი წლისაა. უკანასკნელ ათწლეულებში მოსწავლეებიც მართავენ სიმღერისა და ცეკვის საკუთარ დღესასწაულებს. შარშან ტალინში მეექვსე ასეთი დღესასწაული ჩატარდა. სასიმღერო მოედანზე 30 ათასამდე გოგონას და ბიჭუნას ხმა ერწყმოდა ერთმანეთს.

ამჟამად ესტონეთში 88 ათასამდე პიონერი ცხოვრობს. როგორც მთელ კავშირში, ასევე ჩვენშიაც წლეულს მათ ძალზე სერიოზულად გააანალიზეს თავიანთი მუშაობა, იმსჯელეს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პიონერი დღეს.

ამ გაზაფხულზე, ესტონეთის კომკავშირის XX ყრილობაზე, ბევრი ჩააფიქრა მოსწავლე დიანა სოოდლას გამოსვლამ. „ჩვენ თითქმის ჩამოგვართვეს ყველანაირი უფლება, — თქვა მან. — უფრო სწორად, ისინი სხვებს ჩვენივე ნებით დავუთმეთ. რესპუბლიკის უმეტესი სკოლების ყოველდღიურობაში მოსწავლეთა თვითმმართველობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ამაში კი დამნა-



ესტონური ხალხური ცეკვა. კრისტინე ტიმუსკა.
პიარნუს მე 9 რვაწლიანი სკოლა, III კლასი



ხალისიანი ზამთარი. კაირიბ კურმი, პიარნუს მე-6 საშუალო სკოლა, 11 კლასი.

შავენი ისევ ჩვენა ვართ — მოსწავლეები".

რვა წლის წინათ, როცა ჟურნალ „პიონერში" მუშაობა დავიწყე, მეც იმათ რიცხვს ვეკუთვნოდი, ვისაც მტკიცედ სწამდა, რომ პიონერული საქმიანობა ჩვენს რესპუბლიკაში თითქმის არ არსებობს. გამოუცდელ, ჯერ ისევ „მწვანე" ჟურნალისტებს თითქმის ყოველთვის პიონერულ ოთახში მიგვიწვევდნენ ხოლმე. აქ კი ჩვენთან სასაუბროდ მხოლოდ მასწავლებელთა შეხედულებით „მოწინავედ" მიჩნეული პიონერები მოჰყავდათ. ეს ბავშვები ტრაფარეტულად მსჯელობდნენ, ხმამაღალი ფრაზებით ლაპარაკობდნენ დიდ ღონისძიებებზე, თავიანთი რაზმების დღიურების შევსებაზე, „ცუდ" ყმაწვილებზე, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობენ ხოლმე პიონერულ მუშაობაში.

ძალზე ბევრი სიტყვა იხარჯებოდა, მე კი ამ სიტყვებში გულწრფელობასა და საკუთარი საქმისადმი რწმენას ვერ ვჭვრეტდი. უფრო ხშირად ასეთ საუბრებს სკოლის დირექტორი, უფროსი პიონერხელმძღვანელი ან მასწავლებელიც ესწრებოდა. ისინი, თავის მხრივ, აუცილებლად „სწორ" სიტყვებს კარნახობდნენ მოსწავლეს (რომელიც, ჩვეულებრივ, გოგონა იყო ხოლმე).

სწორედ ასეთი შეხვედრების გამო ვუთხარი მაშინ ჩვენს მთავარ რედაქტორს, მიმაჩნია, რომ რესპუბლიკაში თითქმის არ გვაქვს პიონერული მუშაობა-მეთქი. მან დასკვნების გაკეთებამდე რესპუბლიკის სხვა სკოლების, განსაკუთრებით კი სოფლის პატარა სკოლის პიონერულ მუშაობაში ჩახედვა მირჩია.

გავიდა წლები. სწორედ ორი წლის წინათ თითქმის მთელი ესტონეთი შემოვიარეთ. ექვსი წლის განმავლობაში ვაქვეყნებდით ჟურნალში რესპუბლიკის რაიონების სასკოლო და პიონერული ცხოვრების ამსახველ მასალებს. ასამდე სკოლა მოვინახულეთ, ათასობით ბავშვსა და მასწავლებელს გავესაუბრეთ, უამრავ ღონისძიებას დავესწარით. ამ დროის განმავლობაში 15 ათასზე მეტი კილომეტრი გავიარეთ.

როგორ დასკვნებს ვაკეთებდით? ჩემი შეხედულება პიონერულ მუშაობაზე მკვეთრად შეიცვალა. ვიგრძენი, რომ ბევრ სკოლაში კარგა ხანია იცოდნენ, რომ პიონერული მუშაობა მხოლოდ ქაღალდები და ანგარიშები როდია, ესმოდათ, რომ უაზრობა იყო პიონერული შეკრებების ჩატარება მხოლოდ შეკრების საბაბით. ყველაზე მეტად კი პატარა რაზმეულები მომეწონა. მათ თითქმის არ ჰყავდათ უფროსი პიონერხელმძღვანელები, მაგრამ მთელი სერიოზულობით აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. თანაც, ასეთ სკოლებში ბავშვების ინტერესები და სურვილები ყოველთვის წინა პლანზე იდგა. აქედანაც ჩანს, რომ ხშირად გვავიწყდება პიონერული ორგანიზაციის მნიშვნელობა თვითონ ბავშვებისათვის.

ესტონეთის კომკავშირის ამასწინანდელ ყრილობაზე გადაწყდა, რომ მომავალში თავისი სკოლის, რაიონის, ქალაქის შესაძლებლობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით თითოეულ პიონერულ ორგანიზაციას უნდა მიეცეს თავისი სამუშაო მიმართულების არჩევის საშუალება.

უნდა ითქვას, რომ პირველი ცვლილებები უკვე იგრძნობა. გაზაფხულზე, რაზმეულების საანგარიშო-საარჩევნო ხაზების ჩატარებისას, ბევრ სკოლაში რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე რამდენიმე კანდიდატურისგან შეირჩა. მოსწავლეებმა, რა თქმა უნდა, არ აირჩიეს მასწავლებლების მიერ „გამორჩეული" თანატოლები და წინამძღოლობა თავიანთ ნამდვილ ლიდერებს მიანდეს.

ბავშვებთან შეხვედრების დროს ხშირად მიკითხავს მათთვის, თუ იციან, რას ნიშნავს სიტყვა „პიონერი"? ჩვეულებრივ, ბუნდოვან, სიტყვამრავალ პასუხებს ვისმენდი. არადა, საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ პიონერებს პირველდამწყებთ, ახლის მაძიებელთ ეძახიან. მაგრამ, საკითხავია, ყველა პიონერს კი შეუძლია ეს სახელი უწოდოს საკუთარ თავს?

ველლო ნეემოია,

ჟურნალ „პიონერის" მთავარი რედაქტორი.

## ზაფხული

**თოლიების ფრთებმა**
**გადაფარეს ზღვა,**
**ტალღა ეფერება**
**ზღვის და მიწის ზღვარს.**
**ჰაერს გემო ახლავს**
**მარილიან წყლის.**
**მზე ბრიალებს მაღლა,**
**ხე იმღერის ძირს.**
**შენც იმღერე ბარემ,**
**თუკი გული გთხოვს,**
**გავა დრო და... ქარი**
**შემოგაყრის თოვლს.**

## ესტონეთი

**შუა ქალაქში, მხარზე ზურგჩანთით,**
**მოედნის პირას, ზედ შუქნიშანთან,**
**გარინდებული დგას ექსკურსანტი,**
**თითქოს აქ ალვად ამოიზარდა.**

**არეკლილია მის ლურჯ თვალებში**
**გზები, სოფლები, ტყენი შრიალა,**
**მიდამო თბილი, როგორც ალერსი,**
**გროშის ფასად რომ შემოიარა.**

**მიწის ფარჩა თუ ზეცის მარმაში**
**გულშიც სათუთად ჩაუხატია.**
**დგას ფიქრიანი შუა ქალაქში,**
**წინ შუქნიშანზე ყვითლად ანთია.**

ვევე ვახტი,

კაბალასის 8-წლიანი სკოლა,

VII კლასი.

# სამხრეთი, ბუნება და ადამიანები

ვლადისლავ კორჟეცი

მხატვარი პიტერ სელგერგი

მოთხრობა



სამხრეთშიც ისეთივე ბუნებაა, როგორიც ჩვენთან, ოღონდ იქ მთებია, მაღალი მთები. იმ მთებში მარტო ვერ ასვალ, იმიტომ, რომ შეიძლება გზა დაგებნეს და დაიკარგო. კიდევ... იქ სხვადასხვანაირი ხეები იზრდება, ჭადრები და კვიპაროსები, ისინიც ისეთი მაღლებია, რომ ზედ ვერ აძვრები. თუმცა მე არც მქონია ამის სურვილი. იქაური ბაზარი სავსეა ადგილობრივი პროდუქტებით: მანდარინებითა და ატმებით. ხილი უნდა გარეცხო და ისე ჭამო, თორემ მუცელი აგტკივდება. სამხრეთში კიდევ ძალიან, ძალიან ბევრი ხალხია. აქ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოდიან. ყველანი ერთად დადიან პლაჟზე, ერთად დაცურავენ, ერთად დგანან სასადილოს რიგში და ყველაფერ ამას სუბტროპიკებსა და ხალხთა მეგობრობას ეძახიან.

მე, ბებიაჩემსა და ბიძია ერვინს, რომელიც დამსახურებული მეთევზეა, ერთი ადგილობრივი მცხოვრების ბინის ფარდული გვქონდა დაქირავებული და დღე-ღამეში ექვს მანეთს ვიხდიდით. საჭმელს ეზოში, ქურაზე ვაკეთებდით. ჩვენს გარდა იქ სხვა ეროვნების ხალხიც ცხოვრობდა, გარაჟში — რუსები, აივანზე — ლატვიელები, კარავში — ბელორუსები. სულ ხუთი ბავშვი ვიყავით. ერთხელ ბელორუსმა ბიჭმა და ლატვიელმა გოგომ ჩოგნის გულისთვის ისე დასცხეს ერთმანეთს, ძლივს გავაშველეთ, მაგრამ მერე რუსმა გოგონამ ყველას სათითაოდ ლვეზელი ჩამოგვირიგა და ისევ დამყარდა ინტერნაციონალიზმი.

მე და ბებია დავდიოდით სანაპიროზე, ბაზარში, მაღაზიებში, ბიძია ერვინი კი იჯდა და აქეთ-იქით იხედებოდა. ასეთი იყო ჩვენი საკურორტო ცხოვრება.

— რა სილამაზეა აქ, არა? — უთხრა ერთ საღამოს ბებიამ ბიძია ერვინს.

— აბა!.. ისეთი სილამაზეა, რომ გული მერევა. სახლში მინდა წასვლა.

— რას ამბობ, ახლა არ ჩამოვედით?! — გაუკვირდა ბებიას.

ბიძია ერვინი დარჩა, მაგრამ, როგორც ჩანს, დასვენება მის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებდა. ზურგი და ხელ-ფეხი — ყველაფერი ასტკივდა.

— მაგან დასვენება არ იცის! — თქვა ბებიამ. — უსაქმოდ არასდროს ყოფილა და უჭირს.

ბიძია ერვინს კი ნელ-ნელა ნერვები ეშლებოდა. სულ ცუდ გუნებაზე იყო. ერთხელაც ვიღაც გამყიდველმა სამ ნაჭერ მწვადში 10 მანეთი რომ მოსთხოვა, ბიძია ერვინი მთლად გაგიჟდა, ერთი მუჭა ქაღალდის ფული ნაკვერჩხალზე დაუყარა და „მიირთვიო!" მიაძახა. ფული მაშინვე აგიზგიზდა და გამყიდველმა, რომ გადაერჩინა, ხელები დაიწვა.

— წადი და ხვალვე თვითმფრინავის ბილეთი იყიდე! — უთხრა ბებიამ.

მეორე დღეს ბიძია ერვინი ბილეთების ასაღებად წავიდა და უგზოუკვლოდ გაქრა. მე და ბებია ძალიან შევშინდით, იმიტომ, რომ ბიძია ერვინი დასვენებისაგან სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და, ღმერთმა უწყის, რა შეეძლო მოემოქმედა.

— მილიციას უნდა შევატყობინოთ, — თქვა ბებიამ საღამოს თერთმეტის ნახევარზე, მაგრამ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ჭიშკარი გაიღო და ბიძია ერვინიც შემოვიდა.

ახალი, ლამაზი კოსტიუმი დაჭმუჭვნოდა და გაჭუჭყიანებოდა, სამაგიეროდ, სახე უღიმოდა.

— რა ამბავია? ბილეთები იყიდე? — ჰკითხა ბებიამ.

— რის ბილეთები, — ხელი ჩაიქნია ბიძია ერვინმა. — ესენი თურმე სულ სხვა წესით იჭერენ თევზებს.

— რაო? ზღვაში იყავი? — ჰკითხა გაოცებულმა ბებიამ.

— ჰო! ბილეთებზე რომ მივდიოდი, სახაიეში შევიარე, აქაური მეთევზეები ვნახე. გავაბით საუბარი. რომ გაიგეს, მეც მეთევზე ვარ, თანაც შორიდან მოსული, თავიანთთან

## გრძელი წამი

ქვეყნად ყველაზე გრძელია წამი,
აწმყოს წამს ერთვის წამი ახალი
და ისიც აწმყოდ იქცევა, ჟამი
კი მიდის ასე, მიდის რა ხანი...

დღეები-დღეებს, თვეები-თვეებს
მიჰყვება აწმყოს წამთა მარულით,
მაგრამ ის აწმყოც,
ერთი წლის მერე,
სავსეა სკოლის ზარის წკარუნით.

მარიო კივისტიკი

დამპატიჟეს და ზღვაში ერთად გავედით. ხვალაც უნდა წავიდეთ.

— რას ამბობ! — გაოცდა ბებია. — ჩვენ ხომ დასასვენებლად ჩამოვედით!..

მეორე დღეს, დილაუთენია, ბიძია ერვინი ისევ წავიდა და გვიან ღამით დაბრუნდა ვიღაც უცხო კაცთან ერთად, რომელსაც ბიძია იოსები ერქვა.

ბიძია იოსები მანქანით იყო. მან ჩვენი ბარგი-ბარხანა მანქანაში ჩააწყო, მე და ბებიაც ჩაგვსვა და ქალაქგარეთ წაგვიყვანა, იმ სოფელში, სადაც მას სახლი ჰქონდა. ჩვენ ყველაზე ნათელი ოთახი შემოგვთავაზეს. მე შეშინებულმა ვიკითხე, რამდენი უნდა გადავიხადოთ ბინაში-მეთქი. ბიძია ერვინს გაეღიმა და მიპასუხა, არაფერიო.

ბიძია იოსებს ჰყავდა ცოლი, რომელიც სულ გვიღიმოდა, და ვაჟიშვილი გივი, რომელსაც უბრძანეს, ჩემს მიმართ რაც შეიძლება თავაზიანი ყოფილიყო და მოწყენის საშუალება არ მოეცა. მეორე დღეს, როცა კაცები ზღვაში გავიდნენ, გივიმ გადაწყვიტა, მე გავერთე. აშკარად ვხვდებოდი, რომ ეს დავალება მაინცდამაინც არაფრად ეჭაშნიკებოდა, ის ხომ უკვე მეხუთეკლასელი იყო და, ამასთან, მამრობითი სქესისა. ერთმანეთისაც არცთუ კარგად გვესმოდა, რადგან მე რუსული თითქმის არ ვიცოდი. ჩვენ სოფელში ვსეირნობდით. ვატყობდი, გივის რცხვენოდა კიდეც, გოგოსთან ერთად რომ დადიოდა, მაგრამ რა უნდა ექნა. ერთ დღესაც, სეირნობისას, სოფლის ბოლოს, მინდორში გავედით, სადაც ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ.

— გივი, მოდი, ვითამაშოთ! — დაუძახეს ბიჭებმა.

გივიმ ერთი კი შემომხედა, მაგრამ ცთუნებას ვერ გაუძლო და მოედნისაკენ გაკურცხლა. მე მარტო დავრჩი. ძალიან მომწყინდა, ბიჭები კი ერთ ამბავში იყვნენ. ის იყო, გავიფიქრე, ამ საღამოს გივის სახლში დავაბეზღებ-მეთქი, რომ ბურთი ჩემკენ გამოგორდა. გაბრაზებულმა, რაც ძალი და ღონე მქონდა, ფეხი დავარტყი. ბურთი ცაში აფრინდა და კარის კუთხეში შევარდა. არიიის!!! ბიჭები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მერე წაითათბირეს და ყველამ ერთხმად გუნდში სათამაშოდ მიმიწვია. მე ცოტა დავფრთხი, მაგრამ ტყუილად დგომას ტყუილად შრომა ვამჯობინე.

— კაკ ტებია ზოვუტ? — მკითხეს ბიჭებმა.

— მარი! — ვუპასუხე მე.

— მარი? — გაუკვირდათ ბიჭებს. — ტი ნე მარი, ა მარიდონა.

მერე, თუ პასს მაწვდიდნენ, ან თუ ვინმეს ჩავაწოდებდი ბურთს, სულ „მარიდონა, მარიდონაო" გაიძახოდნენ. მე იმათთან თამაში, რა თქმა უნდა, მიჭირდა, ჯერ ერთი, რომ ბიჭები იყვნენ და, მეორეც, ჩემზე უფროსები. კი არ ვთამაშობდი, უფრო დავრბოდი, აღარც მახსოვს, როდის აღმოვჩნდი კართან, როგორ მოგორდა ბურთი ჩემთან, როგორ დავარტყი ფეხი და რანაირად აღმოჩნდა ბურთი კარში. ღმერთო, რა ამბავი ატყდა! ერთი ბიჭი გაბრაზებული მეცა და ხელი მკრა. მე დავეცი. თურმე ბურთი ჩვენს კარში შემიგდია.

— ვაი! — დავიძახე დაცემისას.

გივი იმ ბიჭს ეცა, ვინც ხელი მკრა და გაარტყა. იმ ბიჭმა პასუხი დაუბრუნა. მერე მესამე ბიჭი მოვარდა გასაშველებლად, მეოთხე მესამეს გამოექომაგა და ისეთი ამბავი ატყდა, ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა. მე დიდხანს ვუყურე ამ აურზაურს, შემეშინდა, ამ ამბავს კარგი ბოლო არ უჩანს-მეთქი, რაღაც კეტს დავავლე ხელი და ჩემს ენაზე, ესტონურად მოვრთე ყვირილი:

— მაიმუნებო, ახლავე გაჩერდით! განა ეს სპორტსმენებს შეჰფერის?! თუ ახლავე არ გაჩერდებით, წავალ და ყველაფერს ბიძია იოსებს ვეტყვი!

ბიჭებმა კეტით ხელში, უცხო ენაზე აყვირებული რომ დამინახეს, წამით შეჩერდნენ. მე კი ისევ კეტს ვიქნევდი და ჭკუას ვარიგებდი:

— დაწყნარდით, ახლავე ადექით და ერთმანეთს ბოდიში მოუხადეთ, თორემ არაფერზე არ ვაგებ პასუხს!

ჩემი საქციელი და ესტონური ტუქსვა ალბათ ძალიან სასაცილოდ მოეჩვენათ, რადგან ჯერ ერთმა ბიჭმა ჩაიფხუკუნა, მერე მეორემ და წამის მერე ყველანი ისე ახარხარდნენ, რომ სულს ძლივს ითქვამდნენ. მე იმ ბიჭს, ვინც ხელი მკრა, შერიგების ნიშნად ლოყაზე ვაკოცე. ბიჭი გაწითლდა, სხვებმა კი ტაში დაჰკრეს და აყვირდნენ:

— ვაშა, მარიდონა, ვაშა!

მერე ყველამ ერთად ზღვაზე გავწიეთ. საღამოს, როცა სახლში დავბრუნდით, გივი ქართულად მიყვებოდა თავისი ცხოვრების ამბებს, მე — ესტონურად და ჩვენ შესანიშნავად ვუგებდით ერთმანეთს.

ყოველდღე ბიჭებთან ერთად ვთამაშობდი ფეხბურთს, ვცურაობდი, კოლმეურნეობის ვენახებში დავდიოდი. ვერც კი გავიგე, როგორ გავიდა ორი კვირა. ბიძია ერვინი ყოველდღე მეთევზეებთან ერთად გადიოდა ზღვაში, ხოლო ბებია ბიძია იოსების ცოლს ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში.

გამგზავრების წინა დღეს მეთევზეებმა დიდი წვეულება გაგვიმართეს. ბიძია ერვინს თხოვდნენ, სამუდამოდ დარჩენილიყო. ბიძია ერვინი, თავის მხრივ, ყველას თავისთან ეპატიჟებოდა, განსაკუთრებით — ბიძია იოსებს, მის ცოლსა და გივის. ისინიც დაგვპირდნენ, ჩამოვალთო, და დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად ჩამოვლენ, იმიტომ, რომ გივიმ თავისი ბურთი მე მაჩუქა; გივი ნამდვილი ქართველია, ნამდვილი ქართველი კი უბურთოდ და უფეხბურთოდ როგორ იცოცხლებს?!

ესტონურიდან თარგმნა
იუტა ბედიამ

# ნორჩ შემოქმედთა კონკურსი „ოქტომბერი ჩვენს გულებში“




ზვიად კაკანაძე. 10 წლის. ვანი. კიროვის სახელობის საშუალო სკოლა





თაიგული (აპლიკაცია). ლარისა ვეკუა, ჩხოროწყუ, ლესიჭინეს მე-2 საშ. სკოლა, VII კლ.



ჯგუფური კომპოზიცია ემიკო სანიკიძე. ვანი. კიროვის სახელობის საშუალო სკოლა. II კლასი.



ჯგუფური კომპოზიცია. გოგიტა ლორთქიფანიძე. 7 წლის. ვანი, კიროვის სახ. საშუალო სკოლა



ჩემი ქუჩა. მამუკა ქობლიანიძე. გორი. ქვემო არცევის საშუალო სკოლა, VIII კლასი



არგო. ზაზა ლორთქიფანიძე. 11 წლის. ვანი. კიროვის სახ. საშუალო სკოლა





ორი ურჩხული. ნატო ჭანია. წალენჯიხა, მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი



ყვავილი (მოზაიკა. კურკები). ნინო ჭანია. I კლასი



ორი მოზაიკა (კურკები). მაია ჭანია, VI კლასი



რედაქციისაგან: ჟურნალის წინა ნომრებში არ მოხერხდა ყველა იმ ნაწარმოების (ნახატის, ნაქარგის...) რეპროდუქციის გამოქვეყნება, რომლებიც კონკურსის ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია. ამიტომ ნაწილს აქ ვბეჭდავთ, ნაწილსაც თანდათანობით გამოვაქვეყნებთ ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომრებში.

# ვაჯამებთ კონკურსს „ოქტომბერი ჩვენს გულებში“

ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის იანვრის ნომერში გამოცხადდა ნორჩ შემოქმედთა კონკურსი დევიზით „ოქტომბერი ჩვენს გულებში“, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა და მიზნად ისახავდა რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეთა მხატვრული შემოქმედების წარმოჩენასა და შემდგომ განვითარებას.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 800-დე ნორჩმა შემოქმედმა, ამათგან ჟიურის განსახილველად დაიშვა 730 ნამუშევარი. კონკურსის მონაწილეთა შემოქმედების გამორჩეული ნიმუშები დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე (№ № 6, 7, 8, 9, 10) და, როგორც იმთავითვე გამოცხადდა (იხ. „პიონერი“ № 6, 1987 წ., გვ. 17), ჟიურიმ სწორედ მათგან შეარჩია გამარჯვებულები:

ნორჩი ლიტერატორები: კოლა ქანკვეტაძე (ზესტაფონი, ალავერდის საშუალო სკოლა, VIII კლასი), მზია სეფიაშვილი (გურჯაანი, ჭანდრის საშუალო სკოლა), მაგული ფილიაშვილი (ქარელი, 1-ლი საშუალო სკოლა), დომენტი ჩუბინიძე (ვანი, მუხუთის საშუალო სკოლა, VII კლასი), ანა ოკრიბელაშვილი (თბილისი, მე-4 საშუალო სკოლა, VI კლასი), გიორგი ლობჟანიძე (ხაშური, 1-ლი საშუალო სკოლა, VI კლასი), თამილა ქადაგიძე (ახმეტა, ზემო ალვანის საშუალო სკოლა, IX კლასი), ელისო მისაბიშვილი (ცხაკაია, თეკლათის საშუალო სკოლა, V კლასი), ცირა ყორყოლიანი (ქუთაისი, მე-3 საშუალო სკოლა, IV კლასი), ინგა მელითაური (წითელწყარო, ზემოქედის საშუალო სკოლა), მარიკა კანკაძე (წყალტუბო, 1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი), ფაქიზო ფანჩულიძე (საჩხერე, მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი), ნინო ელოშვილი (თბილისი, 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა, VI კლასი), ქეთევან ნიკოლეიშვილი (თბილისი, 182-ე საშუალო სკოლა, IV კლასი), ნატო ასანიძე (ჭიათურა, მერევის საშუალო სკოლა, IX კლასი).

ნორჩი მხატვრები: გიორგი მთვარელიძე (გორი, მე-9 საშუალო სკოლა, VII კლასი), იზა მეგრელიშვილი (თერჯოლა, ვარდიგორის საშუალო სკოლა, VI კლასი), მერაბ კანკაძე (წყალტუბო, 1-ლი საშუალო სკოლა, V კლასი), მაია მაისურაძე (თბილისი, 103-ე საშუალო სკოლა, VI კლასი), აკაკი ახობაძე (აბაშა, მე-2 საშუალო სკოლა, VI კლასი), ელიზა აკობია (წალენჯიხა, ჭალეს საშუალო სკოლა, VI კლასი), ვალერი აფხაზავა (თბილისი, 115-ე საშუალო სკოლა, IV კლასი), ნანა დათუაშვილი (გურჯაანი, ველისციხის საშუალო სკოლა, VI კლასი), შორენა ჯიშკარიანი (ლაგოდეხი, ლელიანის საშუალო სკოლა, VIII კლასი), კახაბერ გაბუნია (წყალტუბო, გეგუთის 8-წლიანი სკოლა, V კლასი), დათო კაკუშაძე (ქუთაისი, მე-8 საშუალო სკოლა, IV კლასი), მაია ბერიკაშვილი (თიანეთის საშუალო სკოლა, VI კლასი), ნარიტა ურატაძე (ლანჩხუთი, აცანის საშუალო V კლასი), ზვიად მურვანიძე (ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატი, VIII კლასი), ნატო, ნინო, მაია ჭანიები (წალენჯიხის მე-2 საშ. სკოლა, შესაბამისად I, VI, VIII კლ.), გოგიტა, ზაზა ლორთქიფანიძეები, ემიკო სანიკიძე (ვანი, კიროვის სახ. საშუალო სკოლა, შესაბამისად II, VI, II კლ.), ლარისა ვეკუა (ჩხოროწყუ, ლესიჭინეს მე-2 საშ. სკოლა, VII კლასი), მამუკა ქობლიანიძე (გორი, ქვემო არცევის საშ. სკოლა, VIII კლასი).

კონკურსის მონაწილეთა (და ყველა ნორჩი მკითხველის) საყურადღებოდ უნდა ვთქვათ, რომ, სამწუხაროდ, გამოგზავნილ ნამუშევართა ერთი ნაწილი მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებდა კონკურსის პირობებს. ბევრი მათგანი დაბალი მხატვრული დონისა იყო, ზოგიც — ეს ეხება ნორჩ მხატვრებსა და ფოტომოყვარულებს — თავისი ზომებით არ შეესაბამებოდა წაყენებულ მოთხოვნებს და ამიტომ ჟიურიმ უარი თქვა მათ განხილვა-შეფასებაზე.

მიუხედავად ამისა, ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და კონკურსის ჟიური მადლობას უხდიან არა მარტო გამარჯვებულებს, არამედ უკლებლივ ყველა მონაწილეს და უსურვებენ მათ მომავალ დიდ წარმატებებს სწავლაში, პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

კონკურსის გამარჯვებულებს იანვრის არდადეგებზე მოვიწვევთ რედაქციაში, სადაც მათ გადაეცემათ დამსახურებული ჯილდოები. დაწვრილებით ამის შესახებ მოსწავლეებს წერილობით ვცნობებთ.

„პიონერის“ სარედაქციო კოლეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განმარტოებული ნაპირი

ვლადიმერ ალმაზაშვილი

მხატვარი თემურ ფხიკიძე



18.497

მოთხრობა

ის ტოტებდალეწილი, სიძველისაგან გაშავებული ხე ახლაც გდია ზღვის პირას, პლაჟიდან ცოტა მოშორებით. იქ ადამიანის ფეხი იშვიათად ხვდება. არავინ იცის, როდის გამორიყა ზღვამ ხე. რა ჯიშისაა, კაცი ძნელად თუ მიხვდება. ქვებსა და კლდეებზე ხეთქებისაგან ქერქი კვერცხის ნაჭუჭივით შემოფცქვნია. მერქანი დაზეგვია და დასკდომია. თავსა და ბოლოში გადანაჭრებზე ზღვის მშრალი ხავსი აბლაბუდასავით ჩახვევია და გამხმარა. იგი არავის სჭირდება, არც საშენ მასალად და არც შეშად. ქვიშაში ჩაწიდავებულს მარტო დაღლილი ზღვის ფრინველები ესტუმრებიან ხოლმე. მოფრინდებიან თოლიები, დასხდებიან ზედ და ისვენებენ, მერე წივილით ჰაერში იჭრებიან და სადღაც იკარგებიან.

ერთ დილას მზე ჯერ კიდევ ხეირიანად არ ამოსცილებოდა მთებს, რომ პლაჟის მხრიდან ნაპირზე ბიჭი გამოჩნდა. ათი-თერთმეტი წლის იქნებოდა. გამხდარ ტანზე ლურჯზოლებიანი მეზღვაურული მაისური და მოკლე ჯინსის შარვალი ეცვა. მზეს უმოწყალოდ დაეწვა ბიჭი, პირისახე, კისერი, მკლავები, შიშველი კანჭები ასკილის მწიფე ნაყოფივით დასწითლებოდა. ფეხები უზონრებო, შეუკრავ თეთრ კედებში ჩაეყო. მარდად მოაბიჯებდა ფერად-ფერადი კენჭებით მოფენილ სანაპიროზე და კისერზე ჩამოკიდებულ შავ დურბინდს მოაქანებდა.

ზოგჯერ ბიჭი ჩერდებოდა, ზღვისკენ შებრუნებული კნაჭა ფეხებს ჩაჩხავდა და დურბინდით ზღვას გასცქეროდა. შორს, ჰორიზონტზე ნოტიო, მსუბუქი ნისლი ფარდასავით ეკიდა. ზღვა მშვიდი იყო, თვინიერი. პატარა, წყნარი ტალღები ერთმანეთს მოყვებოდნენ და ნაპირს ეხლებოდნენ, ისე ჩუმად ეხლებოდნენ, რომ მათი ხმა ძლივს ისმოდა.

ზღვის ზედაპირი თითქმის გაუკაცრიელებულიყო. აქა-იქ, კანტიკუნტად, თხილის ნაჭუჭებივით პაწაწინა, ზღვაში ადრიანად გასული მეთევზეთა ნავები მოჩანდა.

ბიჭმა თვალებიდან დურბინდი მოიცილა. ისევ გზა განაგრძო. იმ ადგილას მივიდა, სადაც ზღვის ტალღებისაგან გამორიყული ხე ეგდო. ხეს გარშემო შემოუარა. კარგად დაათვალიერა. ზედ ციყვივით შეხტა. ხელები გაშალა და თოკზე მოვარჯიშე ჯამბაზივით ერთი ბოლოდან მეორემდე გაირბინა. იქიდან ქვიშაზე ისკუპა. დურბინდის ღვედი თავიდან გადაიძრო, ხეზე დადო. იქაურობას დაკვირვებით მოავლო თვალი. მერე ზღვის ნაპირი მიიარ-მოიარა, რაღაცას გამალებით ეძებდა. ხესთან რომ დაბრუნდა, თან ბამბუკის საანკესე ჯოხი და წვრილი, მებადურთა მიერ გადაყრილი თოკის ნაგლეჯები მოიტანა, ერთმანეთს გადააბა, მერე ბამბუკის ჯოხი ხის ერთ ბოლოში, ფართოდ პირდაღებულ ბზარში დაარჭო და ანძასავით აღმართულს თოკი გამოაბა, ხეზე შერჩენილ როკებზე ბაგირებივით გაჭიმა.

ბიჭის წარმოდგენაში ხე გემად იქცა, ოღონდ ჩვეულებრივი გემი კი არ იყო, ხალხი რომ მოგზაურობს — მის წინ ზღვაში ღუზაჩაშვებული, მოდარაჯე სამხედრო კრეისერი იდგა.

ბიჭი „კრეისერზე" ავიდა, დურბინდი კაპიტანივით მოიმარჯვა და ზღვას გახედა. დასავლეთიდან ჰორიზონტის ხაზს თოვლის ფიფქივით თეთრი აკვამლებული გემი მოუყვებოდა.

კრეისერზე უცებ საბრძოლო განგაში გამოცხადდა.

— ნაუ, ნაუ ნაუ! — ბიჭი ზარივით რეკავდა.

გაისმა ბრძანება: ,

— მოამზადეთ ტორპედები!

— არის, მოვამზადოთ ტორპედები!

— ცეცხლი!

— ტიშიუუ, ტიშიუუ! — ზედიზედ გავარდა მტრის წყალქვეშა ნავისაკენ დამიზნებული ტორპედები.

— ბუმ, ბუმ! — გაისმა მძლავრი აფეთქებები.

თეთრი გემი ჰორიზონტზე ჩამდგარ ნისლში გაუჩინარდა. ბიჭმა დურბინდი დაბლა დაუშვა, კმაყოფილი სახით ანძასთან მივიდა. მარცხენა ხელი მომუშტა, ვი-

თომ მიკროფონიაო, და, როგორც კაპიტანს შეპფერის, ომახიანად ჩასძახა:

— საბრძოლო ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის კრეისერის მთელ შემადგენლობას ვუცხადებ მადლობას!

დურბინდი ისევ ხეზე დადო, სწრაფად გაიხადა მაისური და შარვალი. ფეხიდან კედები წაიძრო, ვარდისფერი საბანაო ტრუსის ამარა დარჩა. ხეზე შემდგარმა წაივარჯიშა. წინ გაშვერილი ხელებით ოცამდე ჩაბუქნა. სხეულის ჩქარი აწევ-დაწევის გამო დასცხა, სახე უარესად წამოუწითლდა, კანი ოფლმა დაუნამა. მუხლებში დაღლა რომ იგრძნო, მაშინ შეწყვიტა ვარჯიში. ხიდან ქვიშაზე ჩამოხტა და შიშველი ფეხების ტყაპუნით ზღვისკენ გაიქცა, ორიოდე წამში წელამდე წყალში აღმოჩნდა, შიგ შეცურდა.

თევზივით სხარტი და მოქნილი იყო. მოძრაობდა სწრაფად, ხან ყვინთავდა, მთლად იკარგებოდა წყალში, ხანაც დელფინივით გულაღმა ამობრუნდებოდა, ხელებსა და ფეხებს განზე შლიდა, ზღვის ზედაპირზე ტივტივებდა და ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა მზის სხივებით გაბრწყინებულ ცის ლაჟვარდს.

როცა პირაღმა ტივტივი მობეზრდებოდა, პირქვე წვებოდა წყალზე, მის სიღრმეში იყურებოდა. დღის შუქი იქამდეც აღწევდა. ზღვის ფსკერზე გარკვევით მოჩანდა ხავსიანი, ჩაშავებული ლოდები, ლოდებს შორის მოლივლივე წყალმცენარეები, ნაირ-ნაირი თევზები. მსხვერპლს დადარაჯებული კიბორჩხალები, სოკოებივით მრგვალზურგიანი მედუზები.

ყმაწვილი გაფაციცებით ათვალიერებდა წყალქვეშა სამყაროს. ზღვის მლაშე, მომწარო წყალმა თვალები დასწვა და ატკინა, ყურებში თითქოს ჭიანჭველები შეუძვრნენო, წყალი უფუთფუთებდა.

აკვალანგი ინატრა. გადაწყვიტა, მშობლებისათვის ეთხოვა, რომ ეყიდათ. მაშინ დიდხანს შესძლებდა წყალქვეშა სამყაროს ცქერას.

ცურვით რომ დაიღალა ბიჭი, ზღვიდან გამოვიდა, ქვიშაზე დადგა და ცალი ფეხი აიკაუჭა, ჯერ ერთ ყურზე მიიფარა ხელისგული, მოჰყვა ხტუნაობას და თავის გვერდზე ქნევას, მერე მეორე ფეხი აიკაუჭა და ისევ იხტუნა. ყურებიდან წყალი წვეთ-წვეთ დაიწრიტა და „ჭიანჭველებმა“ შეწყვიტეს მომაბეზრებელი ფუთფუთი.

ამასობაში მზეს მთებიდან კარგა მაღლა აეწია და ქვიშა სასიამოვნოდ გაეთბო.

ბიჭი ქვიშაზე პირაღმა დაწვა. თვალები დახუჭა. ვარჯიშისა და ზღვაში ცურვის შემდეგ სასიამოვნო მოთენთილობას გრძნობდა. შიშველ ტანზე ზღვიდან მონაბერმა თბილმა ნიავმა რომ გადაუქროლა, ეგონა, უზარმაზარი ფრინველის ზურგზე იწვა და ცაში დანავარდობდა.

რაც უფრო ზევით-ზევით იწევდა მზე, პლაჟის მხრიდან ხმაური მატულობდა. ბიჭის ყურამდე აღწევდა დამსვენებელთა ხმამაღალი ლაპარაკი, სიცილ-ხორხოცი. იმ ხმებში მშობლების ძახილიც შემოესმა: დილით საუზმე არ ეჭამა, ისე გამოიქცა ზღვაზე, და ალბათ ამიტომ ეძახდნენ. ისიც ცქვიტად წამოხტა ფეხზე. კისერზე დურბინდი დაიკიდა, იღლიაში ტანსაცმელი ამოიჩარა, კედებს ხელი დაავლო და პლაჟისკენ გაიქცა.

„კრეისერთან“ შუადღისას დაბრუნდა.

ზღვას დილის სიმშვიდის ნატამალი აღარ ეტყობოდა. ნაპირს თეთრად აქაფებული, წამოქოჩრილი ტალღები აწყდებოდა, ქვიშა ხმაურით გამოჰქონდა და უკანვე ხმაურით აბრუნებდა.

ბიჭს ხეზე დაწყობილი ვიღაცის ლიმონისფერი პირსახოცი და შარვალ-ხალათი დახვდა. პატრონი ზღვაში შესულიყო. ნაპირიდან ოდნავ მოშორებით წყალში იჯდა. მარტო მელოტი თავი და ბალნიანი მხრები მოუჩანდა. მკერდზე ზღვის ტალღები ეტყლაშუნებოდა.

ყმაწვილი ხეზე უგუნებოდ, მოწყენილი ჩამოჯდა. მორჩა, თამამად ვეღარ ითამაშებდა მეზღვაურობანას. ვერ მიმხვდარიყო, რამ წამოიყვანა ის კაცი ამსიშორეს, როცა დამსვენებლები მუდამ გასახდელებითა და საჩრდილობლებით მოწყობილ პლაჟზე იყრიდნენ თავს.

უცებ ფიქრის ძაფი გაუწყდა. მისგან მოშორებით რამდენიმე ნაბიჯზე ქვიშაში ორი ყავარჯენი ეგდო. ახლოს მივიდა. ყავარჯნები ძველი იყო. საიღლიავეებს გადაკრული ყავისფერი ტყავი შემოსცვეთოდა და ოფლისაგან გაპრიალებული ხე მოჩანდა. ბიჭმა იქვე შავი, მარჯვენა ფეხის ბათინკაც დაინახა. მიხვდა, ყავარჯნების პატრონი ცალფეხა იყო. თვალი მისკენ გაექცა. მელოტს პირი აქეთ მოებრუნებინა. სანდომიანი სახის, თეთრულვაშა კაცი იყო. ბიჭს გაღიმებული შემოსცქეროდა, მისალმების ნიშნად ხელიც მაღლა ასწია. მერე ორივე ხელს დაეყრდნო და გამოხოხდა. წელიდან თანდათან ამოიმართა მისი გამხდარი, ძვლებამოჩრილი მხრები, ჭაღარა ბალნით შემოსილი მკერდი, ლურჯი მსხვილი ძარღვებით დაქსელილი მკლავები.

კაცი მოცოცავდა და თან თვალით ყავარჯნებამდე დარჩენილ მანძილს ზომავდა. ბიჭი მიხვდა, რაც იმ კაცს ეწადა. ხელები სწრაფად დასტაცა ყავარჯნებს, წყალში ფეხების დგაფუნით შევარდა და კაცს გაუწოდა.

იმან ყავარჯნები გამოართვა, ყოჩაღ, ბიჭოო, შეაქო, საღსალამათი მარჯვენა ფეხი მოკეცა, წყალში მყარად დადგა. ყავარჯნებიც მოიმარჯვა და მძიმედ წამოიწია. შავი საბანაო ტრუსიდან წყალი წურწურით ჩამოედინა. კაცს მარცხენა ფეხი მუხლის მაღლა ბარძაყში ჰქონდა მოკვეთილი. მკერდსა და მუცელზე სხვა ჭრილობებიც მოუჩანდა. ცალფეხამ ყავარჯნები უფრო მოხერხებულად ამოიდო იღლიებში, მხრებით ზედ დააწვა. ქანაობით ხესთან მივიდა. ზედ ჩამოჯდა და ყავარჯნები გვერდით მოიწყო.

ბიჭმა კედები გაიხადა. შიგ ჩამდგარი წყალი წამოასხა, დაწრიტა და ქვიშაზე გასაშრობად დააწყო.

— ჩემი გულისათვის დაისველა ფეხსაცმელი, — თავისთვის წაილაპარაკა ცალფეხამ და პირსახოცი სველ თავზე გადაისვა.

ბიჭმა გაიგონა მისი ნათქვამი.

— მერე რა, მზე მალე გააშრობს.

ცალფეხამ მადლიერი თვალებით გამოხედა.

— რა გქვია?

— გიორგი!

— გიორგი, — გაიმეორა კაცმა და გაიღიმა, — ჩემს შვილიშვილსაც გიორგი ჰქვია. სამი წლისა ამ ზაფხულს, ივნისში გახდა.

ბიჭმა დურბინდი ხეზე დადო. გაიხადა ცისფერზოლებიანი მაისური და შარვალი. ისინიც იმ ადგილას დააწყო, სადაც დურბინდი იდო.

„რა გამხდარია, ნამდვილი ნემსიყლაპიაა“, — გაიფიქრა კაცმა. ხმამაღლა კი, ბიჭის გასაგონად, თქვა:

— შენხელა მეც გამხდარი ვიყავი, ბეხრეკი ცხენივით ნეკნები დამეთვლებოდა. რომ იტყვიან, ყბა ყბაში მქონდა გაჩრილი, მაგრამ ისე გავიზარდე, თითი არ წამომტკივნია. არც მაშინ მიავადმყოფია, როცა ბალტიის ზღვის მეთაური გავხდი.

„მეზღვაური ყოფილა!“

ბიჭი მის ნაჭრილობევ ბარძაყს დააკვირდა. კანი მაგდაც ისინი ნაკლებად იქნებოდნენ, მათგან განმარტოებით ერჩივნა ყოფნა. დღესაც იმიტომ აარიდა თავი საერთო პლაჟს და აქეთ გამონაპირდა.

ბიჭი მის გვერდით ხეზე ჩამოჯდა. ზღვაში შესვლასა და ცურვას არ ჩქარობდა.

— ჩემი პაპაც მეზღვაური იყო, ომში დაიღუპა!

— სად დაიღუპა?

— შავ ზღვაში, ქერჩთან, კრეისერზე საზენიტო ტყვიამფრქვევის მემიზნე ყოფილა!

— ჩემსავით. მეც პირველი ნომერი მემიზნე ვიყავი. პაპაშენი ვაჟკაცურად დაიღუპებოდა. ეს მე კარგად ვიცი, მეზღვაური ლაჩრულად არასოდეს არ კვდება. ასე კვდებოდნენ ჩემს გვერდით, როცა ფაშისტების სამი მოიერიშე თვითმფრინავი ჩვენს კრეისერს თავს დაესხა. ის ტიალები კრაზანებივით გვეხვეოდნენ. ერთს ცეცხლი გავუჩინეთ და ზღვაში ჩავარდა, მეორეც დაზიანდა, ჰაერში წონასწორობას ვეღარ იცავდა. აი, ასე, — ცალფეხამ ხელები განზე გაშალა, დაბლა-მაღლა აატორ-



რად დაზელილ, ნაპირებშეკეცილ ცომს მიუგავდა, ლილასავით ჩალურჯებოდა და ჩანდა, მის პატრონს დროდადრო სატკივარი თავს ახსენებდა.

ცალფეხამ შენიშნა, ბიჭი ჭრილობაზე რომ უყურებდა. მოერიდა მისი, პირსახოცი აიღო და ზედ დაიფარა. თითქოს ბოდიშს იხდის ხეიბრობისთვისო, ისე თქვა:

— ეს ჭრილობა იმ ტიალი ომის სახსოვარია.

ცალფეხას მარტო ბიჭის კი არა, სხვებისაც ერიდებოდა. განა ვისთვის იყო სასიამოვნო დამახინჯებული, მოკვეთილი ბარძაყის ცქერა? ამის გამო ერიდებოდა ადამიანებს, გუშინ პლაჟზე ისეთ ადგილს ეძებდა, სა-

ტმანა, — აი, ასე ტოკავდა. გაქცევა რომ იკადრა, მესამე მაინც არ მოგვეშვა, ყუმბარებს გვაყრიდა. კრეისერს ცეცხლი გაუჩნდა. კვამლმა გემბანი დააბნელა, თვალები მეწვოდა. სამიზნეში ვეღარაფერს ვხედავდი, მაინც ვისროდი ტყვიამფრქვევს. მერე სულ ახლოს გავიგონე აფეთქების ხმა და გონიც დავკარგე. აღარ მახსოვს, იმ ჯოჯოხეთს ვინ გამომტაცა. გრძნობაზე რომ მოვედი, შევიტყვე, კრეისერი ჩაძირულიყო, ცოცხლად დარჩენილი რამდენიმე მეზღვაური სხვა კრეისერს ავუყვანივართ. ეჰ, საზიზღრობაა ომი, საშინელებაა!..

ბიჭი მდუმარედ უგდებდა ყურს. ეგონა, ცალფეხა კი-



დევ მოყვებოდა რამეს. ის კი გაჩუმდა — წარსულის გახსენებამ დაანაღვლიანა, აალელვა კიდეც. შარვალი აიღო, ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი და მონიკელებული ბენზინის სანთია ამოაძვრინა. ათრთოლებული თითებით სიგარეტი მოსრისა, პირში ჩაიდო და სანთია ააჩხაკუნა. ვერა და ვერ აანთო. გასინჯა, ბენზინი გამშრალიყო. სიგარეტი პირიდან გამოიღო. სანთიასთან ერთად ტანსაცმელზე დადო.

ბიჭი წამოხტა ხიდან. კედები არც გახსენებია, მზისგან გაცხელებულ ქვიშაზე პლაჟის მხარეს შიშველი ფეხების ტყაპატყუპით გაიქცა.

ცალხელამ თვალი გააყოლა.

— აი, ნახავ, თუ ასანთი არ მოარბენინოს. ყურადღებიანი, ჭკვიანი ყმაწვილია. ეს წელანვე შევნიშნე, როცა წყალში შემოტოპა და ყავარჯნები მომაწოდა, — ეუბნებოდა თავის თავს და უცებ სახე მოეღრუბლა, ეჭვის ჭია ჩაუჯდა გულში. — რა სულელი ვარ, იქნებ მობეზრდა ჩემი ხეიბარი ფეხის ყურება ან ლაქლაქი და გაცლა ამჯობინა?!

გავიდა ორიოდე წუთი, ცალფეხას კი დიდი დრო ეგონა გასული, თვალები პლაჟისკენ აწყდებოდა, ველარ მოითმინა და დურბინდს გადასწვდა.

დურბინდმა ახლო მოუტანა ერთმანეთში არეულდარეული დამსვენებლები. ზოგი ზღვაში შესულიყო. ზოგი ქვიშაზე იწვა და თაკარა მზეს ეფიცხებოდა. რამდენიმე ახალგაზრდას ფრენბურთის თამაში გაემართა. ფერად-ფერად გუმბათიანი, ქოლგებივით გაშლილი საჩრდილობლების ქვეშ ზოგი ჭადრაკსა და კარტს თამაშობდა. აქეთ, გამონაპირებით, პატარა, ჭილისქუდიანი, მწვანე საბანაო კოსტიუმიანი გოგონა მტრედებს აპურებდა.

ბიჭი უცებ გამოჩნდა დამსვენებელთა შორის. ჭილისქუდიანი გოგონას გვერდით გაირბინა, ხელები მაღლა აიქნია და მტრედები დააფრთხო. ეტყობა, გოგონას არ მოეწონა მისი საქციელი. კენჭი აიღო და აქეთ გამოქცეულს ზურგში მიაყოლა.

ბიჭი იცინოდა, აქოშინებულმა მოირბინა ცალფეხასთან. ცალ ხელში ასანთი ეჭირა, მეორეში — ცელოფანის პარკი. შიგ მწიფე, ყბაღია ლელვი ეყარა.

ცალფეხამ ყმაწვილს ასანთი გამოართვა.

ძალიან ცოტა რამეა საჭირო, რომ ადამიანს ბედნიერება მიანიჭო. ცალფეხას ბიჭის საქციელი მოეწონა და ბედნიერად გრძნობდა თავს. ნასიამოვნებმა სიგარეტს მოუკიდა და ბიჭს ასანთი გაუწოდა.

— დაიტოვეთ, მამას გამოვართვი, სხვაცა აქვს, — ბიჭი ხეზე ჩამოჯდა. გვერდით პარკი დადო და პირი მოუხსალვათა. — მიირთვით ლელვი.

ცალფეხამ პარკიდან ერთი ცალი წითლად პირგაპობილი ლელვი ამოიღო. ხეზე ანძასავით აღმართულ ბამბუკის ჯოხს გახედა და ყმაწვილს ჰკითხა:

— შენ გააკეთე?

ბიჭს პირი ლეღვით ჰქონდა გამოტენილი. დასტურის ნიშნად თავი დაუქნია, ლეღვი დალეჭა, გადაყლაპა და თქვა:

— მე გავაკეთე. მეზღვაურობას ვთამაშობ, თანაც აქ კარგია. პლაჟზე კი ხმაურია, ვინ მაგნიტოფონს უკრავს, ვინ — ტრანზისტორს. მადლიანად წიგნსაც ვერ წაიკითხავ, ამიტომ გამოვარიდე თავი.

— ხელი ხომ არ შეგიშალე? მეც განმარტოებულ ადგილს ვეძებდი, ხეიბარი ვარ და მერიდება ადამიანებისა, — თქვა ცალფეხამ.

— არა, არა, რას ამბობთ! პირიქით, ხვალაც მოდით აქ. ზღვიდან გამოსვლისას მე ყოველთვის მოგაწვდით ყავარჯნებს. ხვალ წიგნსაც მოვიტან. სახლიდან „კაპიტან გრანტის შვილები" წამოვიღე. თუ გინდათ, ერთად წავიკითხოთ, — ამბობდა ბიჭი და წრფელი თვალებით შეჰყურებდა ცალფეხას.

ყმაწვილის სიტყვებმა კაცს გული აუჩუყა, ცრემლი მოეძალა. ბიჭს კისერზე ხელი მოხვია. მერე თავზე გადაუსვა, შვილივით მოეფერა.

— კარგი ბიჭი ხარ, გიორგი, წელანვე მომეწონე, ყავარჯნები რომ მომირბენინე. ეს, სიმართლე გითხრა, ამას ბევრი ვერ ახერხებს. — ცალფეხამ წყლიანი თვალები აახამხამა და პირი გვერდზე იბრუნა. სიბერეში ნამეტანი მგრძნობიარე გახდა, პატარა რამ აღელვებდა. მით უმეტეს, თუ სიკეთის თესლი ერია მასში. ცრემლი რომ დაემალა, ყავარჯნები იღლიაში ამოიჩარა, ცოტა ხანს კიდევ შევალ ზღვაში, თორემ ძალიან დაცხაო, — თქვა და ზღვისკენ წავიდა. გვერდით ბიჭი მიჰყვა და უთხრა:

— შედით. ყავარჯნებს მე გამოვიტან.

ისიც შევიდა. წყალში წელამდე რომ მოატანა, ყავარჯნები ბიჭს მისცა და ტალღებში გადაეშვა, მკლავურით

გაცურა, მალე ყმაწვილიც მის გვერდით გაჩნდა, ზვიგენს ადევნებული თევზივით ცურავდა მის ახლოს.

„ამისგან მარჯვე, უშიშარი მეზღვაური დადგება“, — კმაყოფილებით გაიფიქრა კაცმა...

იმ დღის მერე ცალფეხა და ბიჭი თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. უფრო დილით ადრე, როცა პლაჟი წყნარი იყო და ხალხი კანტიკუნტად ჩანდა.

ორივე დათქმულ დროს მიდიოდა ხესთან. ცურავდნენ ზღვაში. თუ ცურვა მობეზრდებოდათ, „კაპიტან გრანტის შვილებს“ კითხულობდნენ და თვითონაც მეზღვაურებად იქცეოდნენ. ბიჭი კრეისერს კაპიტნობდა, ცალფეხა საზენიტო ტყვიამფრქვევს მიუჯდებოდა. ყავარჯენზე ყავარჯენს დასდებდა, ცისკენ ლულასავით გაიშვერდა და მტრის მოპიკირე თვითმფრინავებს ნიშანში იღებდა. ხანაც ზღვაზე მოიერიშე ხომალდებისკენ შხუილით მიჰქროდა მრისხანე ტორპედები.

— მთლად გამაბავშვე, რატომ ჩვენები არ მიყურებენ შორიდან? — ამბობდა ცალფეხა და მხიარულად იცინოდა.

ამ მხიარულებაში დრო შეუმჩნევლად მიიპარებოდა. ახლოვდებოდა განშორების დღე.

— გამიძნელდება უშენობა, — გამოტყდა ცალფეხა.

— მეც! — დარდობდა ბიჭი.

ერთ დღეს ცალფეხა ხესთან რომ მივიდა, იმ ადგილას, სადაც ჯდომა უყვარდა, გაზეთში გახვეული მოგრძო მუყაოს ყუთი დახვდა. ყუთში მწვანე ცელულოიდის მოტორიანი სათამაშო გემი და ბარათი აღმოჩნდა.

„სახსოვრად გემს გიტოვებთ. თქვენს შვილიშვილს წაუღეთ. წერილებსაც აუცილებლად მოგწერთ. გაისადაც ზღვაზე ერთად დავისვენოთ, ერთად ვიბრძოლოთ კრეისერზე. ყური მოვკარი, რომელიღაც ქვეყანაში (ზუსტად გავიგებ და მოგწერთ) იმისთანა ხელოვნურ ფეხებს ამზადებენ, კაცი ნამდვილივით ხმარობსო.

ნეტავი მართალი იყოს.

იქნებ თქვენც იშოვოთ, თუ არადა, აქ არა ვართ, თქვენ ისეთი კარგი კაცი ბრძანდებით, სიარულში ვინ არ მოგეხმარებათ“.

წავიდა ცალფეხაც...

ზღვის ნაპირს მარტო ტალღებისაგან როდის-როდის გამორიყული ხე შემორჩა.






## შენი პიონერული ორგანიზაციის გარდაქმნისათვის

„შეკრება იწონებს საყოველთაო პიონერული დისკუსიის შედეგებს და მიაჩნია, რომ საჭიროა მომავალშიც ჩატარდეს დისკუსიები ყველა პიონერისათვის მნიშვნელოვანი პიონერული პრობლემების განსახილველად“, — ეს სიტყვები პიონერთა IX საკავშირო შეკრების გადაწყვეტილებიდანაა ამოღებული.

საქართველოს პიონერთა XIII და პიონერთა IX საკავშირო შეკრებების სადისკუსიო დარბაზებში დიდი კამათი გაიმართა თემაზე „პიონერთა ორგანიზაცია დღეს და ხვალ“.

თქვენ უკვე ხელთა გაქვთ ორივე შეკრების გადაწყვეტილება. როგორც რაზმებიდან გვატყობინებენ, ბევრ პიონერულ კოლექტივში გამოცოცხლდა მუშაობა, ახლებურად აეწყო მათი ცხოვრება. მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრი გვაქვს და სწორედ თქვენ, პიონერული აქტივისტები, უნდა გაუძღვეთ რგოლის, რაზმის, რაზმეულის საქმიანობას. პიონერთა IX საკავშირო შეკრების გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ გარდაქმნის პროცესისათვის დამახასიათებელია ფიქრი, კამათი, განხილვა, ძიება. ასეა ჩვენს ირგვლივ და პიონერთა ორგანიზაციის ყველა რგოლშიც. კამათში აქტიურად მონაწილეობენ პიონერთა საკავშირო და რესპუბლიკური შეკრებების დელეგატებიც. კამათის დროს პიონერები გამოთქვამენ სურვილებს, თუ როგორი უნდა იყოს მათი ორგანიზაცია. ამ საკითხზე ჩვენი კლუბის ხელზე შემოსული ბარათები ქვესათაურების მიხედვით გავანაწილეთ. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

### ორგანიზაციის ავტორიტეტისათვის

...გეგმაში შევიტანოთ მხოლოდ ის, რის გაკეთებასაც ნამდვილად შევძლებთ, ნუღარ შევადგენთ ფორმალურ გეგმებს.

თამრიკო გოჩიტაშვილი,
კასპი.

...ზოგჯერ პიონერებს სიძნელეებისა ეშინიათ; ამიტომ წაქმეს გაურბიან და დიდი საქმეებისაგან განზე რჩებიან. ჩემს რაზმშიც არიან ასეთები. დროა უარი ვთქვათ გულგრილობაზე, თვითდამშვიდებაზე. ჩვენ ხომ უფროსების საქმე უნდა გავაგრძელოთ, სამშობლო დავიცვათ!

გელა ძიძიგური,
წულუკიძე.

...პიონერები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში არიან თავიანთი სიტყვის ბატონ-პატრონები; მერედა რატომ, რაშია საქმე? ეს იმიტომ ხდება, რომ მიჩვეული არა ვართ სხვის დაუხმარებლად, დამოუკიდებლად მოქმედებას. ბევრი გაიძახის, საქმეს არ გვაძლევენ, ინიციატივის გამოჩენის საშუალება არა გვაქვს და რა ვქნათო! არ არიან მართალნი! ვისი ბრალია, ასეთები რომ ვართ? ისევ ჩვენი! შეკრებებს უინტერესოდ ვატარებთ. პიონერთა ორგანიზაციისათვის მაკულატურისა და ლითონის ნამსხვრევის შეგროვება როდია მთავარი. ამ საქმეს უნდა ეშველოს.

ნატაშა წოწორია,
სოხუმი.

...ჩვენი სურვილია, პიონერთა ორგანიზაცია იყოს ძალზე მეგობრული, მხიარული და საინტერესო.

ძაბული მამფორია,
თინიკო გენძეხაძე,
ქუთაისი.

...კარგია, რომ შეგვიძლია პიონერის წიგნაკი შემოვიღოთ, მასში თითოეული პიო-




ნერის საქმიანობა ჩაიწერება ალინიშნება პიონერის წახალისება, ისიც, თუ როგორ შეასრულა დავალება. პიონერის წიგნაკი კომკავშირის რიგებში შესვლის დროს დაგვეხმარება; მისი მიხედვით შეგვეძლება ვიმსჯელოთ, ვინ როგორი პიონერი იყო.

ეთერ ოდიშარია,
გეგეჭკორი.

დამოუკიდებლობით...

...როცა პიონერებს რაღაც ეშლებათ, მათ კომკავშირელები და კომუნისტები ეხმარებიან, მაგრამ პიონერთა ორგანიზაციის ბატონ-პატრონები მაინც პიონერები უნდა იყვნენ.

დავით ჯილაური,
საგარეჯო.

...ბევრი უფროსი თავისი ავტორიტეტით ჩაგრავს პიონერს. ასეთ უფროსებს სიახლისა ეშინიათ და კვლავ ძველი, მათთვის ცნობილი მეთოდებით სურთ მუშაობა; არ აძლევენ პიონერს თაოსნობის გამოჩენის საშუალებას. არადა, გატკეპნილი გზით სიარული მოსაწყენია, პიონერთა წინადადებები გაბედულად უნდა მივიღოთ.

გელა ჩაკვეტაძე,
ქუთაისი.

...ორგანიზაციაში დამოუკიდებლობა და რომანტიკა გვჭირდება.

თამრიკო გუცხრიკიძე,
ჭიათურა.

...პიონერთა ორგანიზაცია ახლა კლასის ხელმძღვანელის ხელშია, რაც არ არის სწორი. ეს ხელს გვიშლის, ვერ ვიჩენთ დამოუკიდებლობას, ვერა ვართ თამამად, თავი ყოველთვის გაკვეთილზე გვგონია.

ოთარ მამფორია,
თბილისი.

...უფროსები არ გვენდობიან. ჩემთვის საინტერესო არ არის პიონერთა ორგანიზაციაში ყოფნა, ჩემს რაზმში მოწყენილობაა.

ოთარ ქართველიშვილი.
თბილისი.

...რაზმს მეტი დამოუკიდებლობა უნდა მიეცეს. შემდეგ კი მხოლოდ პრაქტიკული. ცოცხალი მუშაობით შემოწმდეს, თუ როგორია რაზმი.

დალი ქევანაშვილი.
თბილისი.

...დამოუკიდებლობა უფროსებმა უნდა გვასწავლონ.

სალომე ოთარაშვილი,
თელავი.

...მთელ ჩვენს ქვეყანაში ახლა გარდაქმნა მიმდინარეობს. ასევეა პიონერთა ორგანიზაციაშიც. ჩვენმა ორგანიზაციამაც ახლებურად უნდა იმუშაოს. მაგრამ ჩვენ არ დავივიწყებთ პირველი პიონერების, რაზმების, გმირი პიონერების ტრადიციებს, რომელთაც სიცოცხლე გასწირეს ჩვენი ბედნიერი მომავლისათვის. ცუდი ტრადიციები არ ყოფილა და არც იქნება.

მარინა ივანოვა,
სოხუმი.

...მზად ვართ, ჩვენი ორგანიზაციის ყველა კეთილი ტრადიცია დავიცვათ.

ნიკა ქარჩავა,
ზუგდიდი.

...რაც უფრო მეგობრულია კოლექტივი. მით უფრო კარგია ტრადიცია.

ეთერ ჯახუა,
გეგეჭკორი.

...ტრადიციაა, როცა ერთი რაზმი მეორისაგან განსხვავდება. ჩემს რაზმში ყოველ წელს ალვნიშნავთ რაზმის დაბადების დღეს; ყველა ახალ მოვლენასთან დაკავშირებით ვუშვებთ კედლის გაზეთს, ჩვენ ეს ძალიან მოგვწონს. ყოველ წელს, საცხრამეტმაისოდ, ვაცხადებთ კონკურსს.

ნათელა ძოძუაშვილი,
წყალტუბო.

დისკუსია გრძელდება. კვლავ ველით თქვენს ბარათებს, მეგობრებო! მოგვწერეთ, პიონერთა IX საკავშირო შეკრების შემდეგ რა გაკეთდა თქვენს რაზმში, რაზმეულში? რა ვერ შესძელით და რატომ; მოგვწერეთ, იქნებ დახმარება გჭირდებათ?

**ნათელა ფაილოძე**

## გამოჩენილი ადამიანების ღიმილი

### პაგანინის კონცერტი

მოკლე ჩართვამ ჩემი ოთახი უკუნ წყვდიადში გაახვია. საბედნიეროდ, იქვე ახლოს აღმოჩნდა ელექტრომონტიორი პეტრიკე. სრულიად ჩვეულებრივი წვრილი მავთულით მან კვლავ დამიბრუნა ეგზომ საჭირო სინათლე. და არა მარტო სინათლე: გამოცოცხლებული რადიომიმღებიდან გადმოიფრქვა ვიოლინოს საამური ხმები. ჩემდა უნებურად გავიფიქრე: ეს პეტრიკე ნამდვილად დიდი ადამიანია. მან დამიბრუნა შინ პაგანინი, უკვდავი მუსიკოსი, რომლის შესახებაც თვითონ ალბათ არაფერი სმენია. სიტყვამ მოიტანა და ვკითხე:

— პეტრიკე, იცი, ვინ არის პაგანინი?

— ვიცი, — მომიგო მან, — კომპოზიტორია. რატომ მეკითხებით?

— იმიტომ, რომ დღეს უბრალო მონტიორიც უნდა ეზიარებოდეს მსოფლიო კულტურის საგანძურს. ნუთუ არ გრძნობ ამ ხმებში გენიოსის ბრწყინვალებას?

— ამის შესახებ ჯობს სხვა ვინმეს ჰკითხოთ.

— ემ, პეტრიკე, პეტრიკე, ჯერ კიდევ რა ღარიბია შენი კულტურის მარაგი!.. მაგრამ მე მინდა დაგიმტკიცო, რომ შენც შეგწევს უნარი შეიგრძნო, აღიქვა და გაიგო ხელოვნება. აი, მაგალითად, შენ მიხვდი, რომ ეს ნაწარმოები პაგანინიმ დაწერა. მაგრამ, იცი, რა საკრავზე სრულდება იგი?

— ვიოლინოზე.

— ყოჩაღ! აბა თუ იცი, ვინ უკრავს ასე შესანიშნავად?

— ვიცი. ეს მე ვარ.

მისი პასუხი დაემთხვა მუსიკის უკანასკნელ აკორდებს, რის შემდეგაც დირექტორმა გამოაცხადა: „ჩვენ გადმოვცემდით მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს, ჩაწერილია ტრანსლაციის დროს".

წასვლისას პეტრიკემ ხელი გამომიწოდა და მითხრა:

— აუცილებლად მოისმინეთ ხვალინდელი გადაცემა.

— რატომ?

— პაგანინის კონცერტს გადმოსცემენ, ასე ძალიან რომ გიყვართ. დღეს მოცარტი იყო...

### ლოგიკური დასაბუთება

მხატვარ პაბლო პიკასოსთან ერთი კაცი მივიდა და თან პაწია ძაღლი მიუყვანა. სტუმარმა ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო და მხატვარს სთხოვა, ამ სათუთუნეზე ეს ძაღლი დამიხატეთო.

შეკვეთა მეორე დღისათვის უკვე მზად იყო.

— ძალიან კარგი ნახატია, — უთხრა შემკვეთმა, — მაგრამ ძაღლის ბუნაგი სადღაა? ჩემს ძაღლს ისეთი ხასიათი აქვს, როცა ვინმე უყურებს, მაშინვე ბუნაგში შეიმალება ხოლმე.

მეორე დღეს მხატვარმა იმ კაცს ახალი სურათი უჩვენა, რომელზეც ბუნაგი იყო დახატული.

— ძაღლი რაღა იქნა? — ჰკითხა მან.

— თქვენ ხომ თქვით, როცა ვინმე უყურებს, ბუნაგში იმალებაო, მოდა, ახლა ჩვენ რომ სურათს დავხედეთ, ძაღლი ბუნაგში შეძვრა, — მიუგო პიკასომ.

თარგმნა ზ. ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენამწარე გოგონას ამბავი,

## სხვანაირად — ზღაპარი ედემის ყვავილზე

გუგული
ბოგონიძე

მხატვარი
იოსებ სამსონაძე



ქალაქის ძველ უბანს ფართო ქუჩა ასდევდა პატარა ოდა-სახლებით. ამ ქუჩაზე ერთი საოცრად ლამაზი გოგონა გამოცქრიალდებოდა ხოლმე. ყელს ისე კოხტად მოიღერებდა, მოფერება მოგინდებოდა. გამვლელები ჩერდებოდნენ და თავიანთ აღტაცებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ.

— რა გამიწყალეთ გული? უთქვენოდაც კარგად ვიცი, რომ ლამაზი ვარ! — ამაყად ამბობდა გოგონა.

„რა დიდგულა ყოფილა!“ — გაიფიქრებდნენ ამის გამგონენი და ცივად გაეცლებოდნენ.

გოგონა პატარა რომ იყო, დედამისი ვიღაცაზე იყო გულმოსული და შვილს ავტორიტეტულად უთხრა:

— ქვეყანა ასეთია, — თუ დოყლაპია ხარ, დაგიბრიყვებენ. ჰოდა, ასე... თავი არავის დააჩაგვრინო. ერთს გეტყვიან, ათი უთხარი...

გოგონამ იფიქრა: რადგან დედა ამბობს, ასე უნდაო. და ბოლოს, სხვის შენიშვნაზე ყურსაც არ აპარტყუნებდა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს თავისი უტიფრობით სულ გააოცა დედასთან სტუმრად მოსული ამხანაგები. ერთმა ხანშიშესულმა მსახიობმა ქალმა სთხოვა:

— ჩემო გოგონა, გადი მეორე ოთახში, ცოტა ხნით დაგვტოვე. ზოგჯერ არ არის საჭირო, უფროსების საუბარი ბავშვებმა მოისმინონ.

გოგონა აიფოფრა, როგორ თუ დამითხოვაო, თანატოლივით თვალი თვალში გაუყარა და გაკაპასებული შეესიტყვა:

— ყველაფერიც გავიგონე, თურმე გეუბნებიან, სცენაზე თამაშს თავი დაანებე, უკვე ბებია ხარო... განა მართალი არ არის? სარკეში მაინც ჩაიხედეთ და მიხვდებით, უკვე ნამდვილად დაბერდით...

მსახიობმა ქალმა წყენა არ შეიმჩნია და, როგორღაც დამნაშავესავით გაიღიმა. სხვებსაც წაუხდათ საქციელი. უხერხულობა რომ დაეფარათ, სასწრაფოდ საუბრის თემა შეცვალეს. მაგრამ ყველაფერი უკვე გვიანღა იყო, მსახიობი ქალი უღიმღამოდ უსმენდა მათ. გოგონას ნათქვამმა დაანაღვლიანა: ნამდვილად უფროსების აზრი მოისმინა და ახლა თავადაც გაიმეორა. ალბათ მართლა აღარ ვვარგივარ სცენაზეო.

ერთხელაც ასეთი რამ მოხდა. ქუჩაში ბავშვები თამაშობდნენ. ენამწარე გოგონაც მათთან იყო, მეზობლის ქალი ერთ გრძელნაწნავა, დაწინწკლულკაბიან გოგუცანას მიეფერა:

— რა ლამაზი კაბა გაცვია, შე ოდის გასახარო, როგორ გხატავსო.

როგორ თუ სხვას აქებენ და მე არა, ენამწარე გოგონამ ტუჩები დაბრიცა:

— ჰმ, ლამაზი! სადაცაა ტანზე შემოაცვდება, ეტყობა, სხვისი კაბა გადაუკეთებიათ. დედაჩემი სულ ცინცხალ კაბებს ყიდულობს ჩემთვის. მაგას კი, ეტყობა, ახალი ენატრება.

მისი უკმეხობით გულნატკენ დაწინწკლულკაბიანს თვალები ცრემლით აევსო და შინისაკენ გაიქცა.

— რატომ აატირე? — აეტუზა წინ ენამწარეს სათვალიანი ბიჭი.

— რა შენი საქმეა?

— ვითომ რატომაო?

— გამეცალე, შე ბრუტიანო, შენა, — ხელი უჯიკავა ბიჭს.

ბიჭი წამოენთო და წაუთაქა. გოგონა აილეწა და მამასთან დააბეზღა, მცემაო.

მამა გარეთ გამოვარდა, აქაურობას მოსცილდიო, შერისხა ბიჭი.

ძველი უბნის ამ ფართო ქუჩაზე ერთი ბერიკაცი აივლ-ჩაივლიდა ხოლმე, ერთთავად ფერგადასული, გაცრეცილი ტანსაცმელი ეცვა. მოხუცს მოეწონა ყვავილივით ლამაზად ყელმოღერებული ენამწარე გოგონა და ერთხელ ღიმილით უთხრა:

— გოგონა, აგერ, თქვენი ქუჩის ბოლოში ვცხოვრობ, წამომყევი, ჩემს ბაღს, ჩემს ვარდებს გაჩვენებ. რომ იცოდე, რა სურნელებას აფრქვევენ!.. იმათ ერთი თვისებაც აქვთ...

ენამწარემ სიტყვა გააწყვეტინა, ალმაცერად შეათვალიერა მოხუცი და გულარხეინად უპასუხა:

— თუ ეგეთი ყვავილები გაქვს, რატომ კარგად არ გაცვია? ვერ გაყიდი?..

გოგონას შინაურებისაგან ჰქონდა გაგებული, ამ კაცს საოცარი ვარდე-

ბი აქვს, მშვენივრად შეუძლია იცხოვროს, მაგრამ ვერ იხმარსო.

ბერიკაცს ტუჩზე ღიმილი შეაცივდა. სხვას რომ ეთქვა, შეიძლება არაფრად ჩაეგდო, მაგრამ ბავშვის ნათქვამმა, თანაც ათვალწუნებით გამოხედვამ, შუბლი დაუნაოჭა.

— ყვავილებით არ ვვაჭრობ, ჩემო პატარა! — მიუგო მშვიდად და ნაღვლიანად გაეცალა.

წინა საღამოს იმ უბნის მეეზოვე ქალი ქუჩას გვიდა, რწყავდა. შემთხვევით წყალი ენამწარე გოგონას მიასხა. გოგონა აღრიალდა:

— როგორ გამიბედე, შე ქაჩალო!

მწარე სიმართლემ გული ატკინა ქალს. აენთო, ცოცხით გამოეკიდა.

— ვაი თქვენს დღეს უბედურს, ეს რა თავხედი შვილი გაზარდეთ?! — მიაყვირა ხმაურზე გარეთ გამოვარდნილ მის მშობლებს. დედამ თვალი ჭვრიდა გაცეცხლებულ მეეზოვეს. კარგა ხანია, ხვდებოდა, მისი შვილი უზრდელი, უგულო რომ იყო და ენაც მწარე იმიტომ ჰქონდა.

წუხდნენ შინაურები, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ფიქრით კი ფიქრობდნენ, მაგრამ როგორც უმრავლესობა დედებისა, ენამწარე გოგონას დედაც გულჩვილი გახლდათ შვილის მიმართ. თანაც ყველა როდი კიცხავდა გოგონას: რა ჩემი საქმეაო, ამბობდნენ ბევრნი.

მალე ყველამ შეამჩნია, რომ ერთ დროს უმშვენიერეს გოგონას სახე რაღაც უსანდომო, უსიამოვნო იერმა დაუფარა: უტიფარი გამოხედვა, მქირდავი, მედიდური თვალები, მისი ხმამაღალი, მოურიდებელი სიცილი აფრთხობდა ყველას. გაურბოდნენ, ვაითუ რამე მწარე სიტყვა გვითხრას, ჩვენი სადარდებელიც გვეყოფა და მისი შხამიანი სიტყვით გუნება კიდევ უფრო რად დავიმძიმოთო.

გოგონა მაინც გულარხეინად, დიდგულად დააბიჯებდა ძველი უბნის ფართო ქუჩაზე. თვალებში ჰინკა ეჯდა და დაჯერებულად ფიქრობდა: „იციან, სიმართლეს რომ ვეტყვი და იმიტომ გამირბიან“.

ერთ ღამეს ენამწარემ სიზმარი ნახა: იმ გახუნებულტანსაცმლიანი ბერიკაცის ეზოდან ცისფერთმიანი, მისი კბილა გოგონა გამოვიდა. ხელში ვარდები ეჭირა. მიუახლოვდა და თაიგული გამოუწოდა...

ენამწარე გოგონამ ამაყად შეხედა, ვითომდა, ასე რად წუხდებიო.

— არ გიყვარს?.. — ალერსიანად, მშვიდად ჰკითხა ცისფერთმიანმა.

ყვავილები ისეთ სურნელს აფრქვევდნენ, ისეთი მომხიბვლელები იყვნენ, რომ გოგონამ ცდუნებას ვერ გაუძლო და გამოართვა. მაგრამ მოხდა საოცრება. ხელის შეხებისთანავე ვარდებმა თავი მკვდარი ჩიტებივით ჩაკიდეს. საქციელი წაუხდა ენამწარე გოგონას. ცისფერთმიანმა სხივანა თვალები შეანათა და გაოცებულმა თაიგული უკან გამოართვა... ყვავილები უმალვე გაცოცხლდნენ.

ენამწარე გოგონა შეშფოთდა. მერე ცნობისწადილმა აიტანა, ვარდებს ხელი წაატანა. ყვავილები ისევ დაჭკნენ... სახეზე ღიმილი შეაცივდა. ცისფერთმიანს გამომცდელად შეაშტერდა, ხომ არაფერს მეთვალთმაქცებაო. უცნობი გოგონა ისეთი ალალი თვალებით, ისე შეუწუხებული უყურებდა, რომ ეჭვი გაუქრა და ხელახლა შეცბუნდა.

— ყვავილებს შენთან ყოფნა არ უნდათ! — თქვა კრძალვით და გულისტკენით ცისფერთმიანმა.

ენამწარემ უნდოდ გაიღიმა... მაგრამ დაცინვის მაგვარი ვერაფერი შეამჩნია გოგონას და ჩურჩულით იკითხა:

— რატომ?

— შხამის ბრალია. შეეხე თუ არა, დაჭკნა.

— შხამის?! — შეკრთა ენამწარე.

— ჰო, მწარე სიტყვა შხამივით ეწვეთება სათუთ გულებს. თანაც ენამწარეობა იგივე გულგრილობაა, როცა არაფრად მიგაჩნია სხვისი წუხილი, დარდი, — მიუგო გოგონამ და გაშორდა.

„გამერიდო!..“ — გაიფიქრა ენამწარემ და თავგზა აებნა. უძლურებით გამძაფრებული ჩუმი აღშფოთება თვალებში აუფეთქდა. მზერადაფეთებულმა გახედა მიმავალ ცისფერთმიანს. უცებ მის გვერდით ვარდისფერი ჩრდილი შეამჩნია. ისიც გოგონასთან ერთად გარბოდა. სხვა დროს ასეთი რამ არც შეუმჩნევია. უფრო სწორად, არ დაკვირვებია. „ნეტავ მე თუ დამყვება ასეთი რამეო“, — გაიფიქრა და გაიარა. გაიარა და მიწაზე ფერმიმქრალი, დაგრეხილი ჩრდილი ამოძრავდა.

„ეს ხომ ჩემი ორეულია?“ — ბზიკივით უკბინა ფიქრმა და თვალწინ ცისფერთმიანის სწორი, ვარდისფერი ჩრდილი დაუდგა. თავი დაჩაგრულად იგრძნო. სიმწრით ტუჩები დაებუშტა. ერთბაშად, თავისდამოულოდნელად უფლებამოსილების, უპირატესობის გრძნობა დაკარგა და ატირდა...

ტირილმა გამოაღვიძა. თვალები მოიფშვნიტა. გაუხარდა, ყველაფერი სიზმარი რომ იყო. კაბა გადაიცვა და უცნაური სიზმრით აფორიაქებული გარეთ გავარდა, თითქოს იქ, ქუჩაში იპოვნიდა იმ ცისფერთმიანს...

მეზობლის ქალმა თვალი მოჰკრა თუ არა, ჭიშკარი მოუხურა და გაუჩინარდა. სხვა დროს ენამწარე გოგონას ასეთი რამ არც შეუმჩნევია,



უფრო სწორად, არ დაჰკვირვებია, თავაღერილს ყურადღების ღირსად არავინ და არაფერი ჩაუთვლია.

ნაბიჯი გადადგა. პირველად თავის სიცოცხლეში ქუჩა მიათვალიერ-მოათვალიერა და ერთბაშად მიხვდა: მის დანახვაზე ყველამ დარაბები დახურა.

გოგონა შეცბა, მერე ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ფეხი დაუსხლტა და მიწაზე ტყაპანი მოადინაო. იგრძნო, რომ არავის უყვარდა. სიზმარი გაახსენდა... გუნება აემღვრა და შეშფოთებული შინ გაიქცა.

იმ დღიდან უცნაური წუხილი დასჩემდა. ფიქრები წამოეძალნენ. ხალისი დაკარგა, ბავშვებში თამაშს უკლო. თუ გავიდოდა, ისე თამამად აღარ მიაბიჯებდა. ყველაფერი აითვალისწუნა, რაც კი იმ ქუჩას ეკუთვნოდა და ჰქონდა, თავისი ადამიანებითურთ.

უბნის ალერსს მოწყურებული უფრო ენამწარე გახდა.

ერთ დილით გაიხედა ქუჩაში და ჰოი, საკვირველებავ: ის ცისფერთმიანი გოგონა არ დაინახა!.. გახუნებულტანსაცმლიანი მოხუცისათვის ტვირთი ჩამოერთმია და მიაცილებდა. „ხომ არ მომეჩვენაო", — გაიფიქრა ენამწარემ და ოთახის ფუმფულა ფოსტლებითვე სულმოუთქმელად გარეთ გაიჭრა. მალულად უკან აედევნა... ცისფერთმიანმა მოხუცი შინ მიაცილა, დაემშვიდობა. უკან გამობრუნებისას ერთ ატალახებულ გუბესთან შეჩერდა. კაბა აიკეცა და ჩაცუცქდა... რაღაცას დააცქერდა, დაჰფოფინებდა, პირისახე უბრწყინავდა.

„ნეტა იმ წუმპეს რას ჩაშტერებია"? — გაიკვირვა ენამწარემ და ცნობისმოყვარეობამ ერთ ადგილს მიაჯაჭვა. ანაზდად ცისფერთმიანმა აიხედა და გაუღიმა. ხელი დაუქნია.

„რომ გამექცა, ეტყობა, აღარც კი ახსოვს!" — ბრაზი წაეკიდა ენამწარეს და სახეზე ჩრდილმა გადაჰკრა.

ცისფერთმიანმა ერთხელ კიდევ შემოხედა სხივანა თვალებით და აქ მოდიო. — ანიშნა. მის გამოხედვაში ენამწარე გოგონამ უხმო ბრძანება ამოიკითხა. თავისდაგასაოცრად იგრძნო, რომ გულში ჩაგუბებული სიჯიუტე თანდათან იბზარებოდა. ძალაუნებრივ უცნობ გოგონასაკენ გაემართა. თან ისევ ის აინტერესებდა, იმ გუბეს ასე გაფაციცებით ნეტა რას დასცქეროდა.

ცისფერთმიანი, ნათელმხილველივით, ნაფიქრს მიუხვდა:

— გინდა გითხრა, რას დავცქერი?

ენამწარე წუმპეს დააშტერდა და ცხვირაბზუებული გაილურსა.

— რას და... შიგ წვიმის კრიალა წვეთს ვხედავ. არა და არ უნდა, სხვებივით მიწის მტვერს შეერიოს. ხან იქით გასხლტება, ხან აქეთ, ხანაც პაწია, წინწკალა ბუშტივით წყლის ზედაპირზე დასკუპდება. კალთაზე ჯერ კიდევ შერჩენია ცისარტყელას ფერი. იმედს არ კარგავს, მზის სხივს ელოდება, ზეცაში ამიყვანსო.

აგერ კიდევ, ქარის მოტანილი ყვავილის თესლი ტივტივებს.. საბრალოს რა ძალიან უნდა, მიწის გულში მოხვდეს, რომ მერე მშვენიერებად ამოვიდეს. როგორ მეცოდებიან! — ამოიოხრა ცისფერთმიანმა. ამ ოხვრამ ქარივით დაუბერა, გუბეში ჩამდგარი წყალი ჰაერში აისროლა და აქეთ-იქით მიმოფანტა. ცისფერთმიანიც თითქოს იმ ქარმა გაიტაცა... სადღაც გაქრა.

ენამწარე გოგონამ თვალები მოიფშვნიტა, ახლაც სიზმარს ხომ არ ვხედავო... ის იყო გონს მოეგო, რომ ვიშვიში შემოესმა. ფეხისგულებზე თითქოს რაღაც უღიტინებდა. ტერფი ასწია და დაინახა, — ფეხით გათელილი ბალახის თესლები იცრემლებოდნენ, შეშინებულები ერთმანეთს ეკვროდნენ...

ენამწარე გოგონას გაოცებისაგან ენა ჩაუვარდა. მერე იაზრა! ყველაფერი ეს ცისფერთმიანისაგან მოდიოდა, იმ წუთებში მან გრძნეულებას აზიარა.

გავიდა რამდენიმე დღე. უბნის ქუჩაზე კიდევ გამოჩნდა ცისფერთმიანი. იმ სათვალიან ბიჭუნას, ენამწარე რომ ეჩხუბა, რაღაცას უყვებოდა. ორივე გულიანად იცინოდა. სხვა ბავშვებიც შემოეხვივნენ და ატყდა ერთი ჟრიამული.

ენამწარე გოგონა ფიქრმა წაიღო: ნეტა რით ხიბლავს ასე ამ ბავშვებსო... ყოველთვის, სადაც კი თვალს მოჰკრავდა ცისფერთმიანს, უჩუმრად უკან დაჰყვებოდა.

ერთ დღეს თეატრის წინ დაინახა ყვავილებით ხელში. ვიღაცას ელოდებოდა. გაიღო კარი და ის მსახიობი ქალი გამოვიდა, ერთხელ ენამწარემ რომ დასცინა. ცისფერთმიანმა ყვავილები გაუწოდა მას.

— ო, ეს შენა ხარ, ტაშს ისე გულმხურვალედ რომ მიკრავდი? სცენიდან შეგამჩნიე. სიხარულმა ისე ამიტაცა, ფრენა დავიწყე და გალაღებულმა გავაგრძელე თამაში... აკი მერე ხალხსაც მოვეწონე!

ქალი დაიხარა და გოგონას ემბორა.

ენამწარე ხედავდა, ცისფერთმიანი ალერსიან სიტყვას აგებებდა ყველას — ამხნევებდა, იმედგაცრუებულს ანუგეშებდა. მის გამოჩენაზე ყვავილები იშლებოდნენ, ჩიტები გალობას იწყებდნენ. თუ ვინმეს ტვირთით მომავალს დაინახავდა, ხელს შეაშველებდა. თუ ვინმე სთხოვდა, მაღაზიაშიც ეგზავნებოდა.

— სად ცხოვრობ? — ეკითხებოდნენ. გოგონა უბრალოდ უპასუხებდა:

— აგერ, ამ ქუჩის იქით, სულ ახლოს...

ენამწარე გოგონა მიხვდა, რატომ უყვარდათ ცისფერთმიანი. „ის ჩემზე კარგია", — გაივლო გულში და გუნება მოეშხამა, ფიქრები აეშალა. მერე ერთბაშად მზისსხივა აზრმა გაუელვა.

„მას უნდა დავემგვანო, ის კი არა, უნდა ვაჯობო კიდეც!" — გადაწყვიტა და უცებ დაუცხრა სხვათა გაკიცხვის სურვილი. მის სახეს მედიდურობა ჩამოსცილდა, თვალებს — უტიფრობა. ნაბიჯებიც ჰაეროვანი გაუხდა. ჯიბრიანი, უკმეხი სიტყვა-პასუხი მოიშალა. მაგრამ მისმა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა, — ენამწარეს კეთილ საქციელზე უყუ-



რიც არ შეიბერტყეს. ღარავის სჯეროდა მისი. გოგონა თავისუბნელების უნდობლობამ შეაკრთო, აათროთოლა. გაწბილებული ყველას გაერიდა და ლოკოკინასავით შინ შეიკეტა.

ერთ დღეს ტელევიზორის განათებულ ეკრანს მისჩერებოდა. იმ გადაცემისა არაფერი გაეგებოდა და მაინც მიშტერებოდა უაზროდ. დროის მოსაკლავად... უცებ მხარზე ხელის შეხება იგრძნო. მოტრიალდა და... ცისფერთმიანი გოგონა დაინახა... ძიოეიიე ჩიტივით ფრთები ჰქონდა. „სიზმარია თუ ცხადიო?“ — გაიფიქრა ენამწარემ.

— წამოდი, გავფრინდეთ! — უთხრა ალერსიანად ცისფერთმიანმა. ხელი ჩაჰკიდა და თან გაიყოლა. იფრინეს, იფრინეს და სადღაც შორს დაეშვნენ.

ენამწარე გოგონას არემარე ესხვაფერა და ჰკითხა:

— სად მოვედით?

— უდაბნოში.

— უჰ, რა შემაზრზენი ყოფილა. ირგვლივ მხოლოდ ქვიშა და ქვიშა. მეტი არაფერი. აქ სად მომიყვანე, ამ უკაცრიელ ქვეყანაში? სიცოცხლის ნიშანწყალი არაფერს ეტყობა.

— ვერაფერს ხედავ? კარგად დააკვირდი!

ენამწარე გოგონა თვალებად იქცა და უცებ ქვიშაში ამოსული საოცრად ლამაზი ყვავილი დაინახა.

— რა ლამაზია! — აღმოხდა აღტაცებით.

— აკი გითხარი! — ღიმილით შეაგება ცისფერთმიანმა.

— წყალი!.. — დაიძახა ენამწარე გოგონამ და თვალები მოიფშვნიტა. ცისფერთმიანი სადღაც გამქრალიყო... იგრძნო, პირი უშრებოდა. თავი უხურდა.

შვილის დაძახილზე დედა შემოვიდა. ენამწარე გოგონა სიცხისაგან იწვოდა.

გადიოდა დღეები, არა და არ უკლებდა სიცხე. ქალაქის ყველა ექიმმა გასინჯა, მაგრამ ვერა გაუგეს რა.

დედას თვალები გამოუღამა დარდმა, გულს უკლავდა, თავის ერთას რომ ვერაფერს შველოდა.

გოგონას ერთხელ კვლავ დაესიზმრა ცისფერთმიანი.

— ნუ გეშინია. ედემის ყვავილს თუ მოგიტანენ, უსათუოდ მორჩები. შენს მეზობლად ბერიკაცი რომ ცხოვრობს, იმას აქვს... — უთხრა და გაუჩინარდა.

ენამწარეს გაელვიძა. — ედემის ყვავილი?.. იმ ბერიკაცს აქვსო... — იმეორებდა გაოგნებული. გაახსენდა, როგორ ათვალწუნებული ჰყავდა ბერიკაცი. სირცხვილმორეულმა თავი საბანში ჩარგო და ატირდა.

ტირილზე დედა შემოიჭრა ოთახში. გოგონამ სიზმარი უამბო. მერე დააყოლა:

— მოხუცი ყვავილებს არ მოგცემს... ბევრჯერ მწარედ ვატკინე გული...

თვალცრემლიანი უსმენდა დედა, ჩაფიქრებული წამოდგა.

„წავალ, იმ მოხუცს მოვნახავ... იქნებ მართლა ახდეს სიზმარიო“, — გაიფიქრა და მოხუცისაკენ გაეშურა. ადრე არასოდეს დაინტერესებუ-

ლა იმ კაცით, ქუჩაზე ავლილ-ჩავლილი დაენახა მხოლოდ.

ბერიკაცის სახლი ორიოდ წლის წინათ ნგრევაში მოყვა და მოხუცს მასივში მისცეს ბინა. ვერა და ვერ შეეჩვია ახალ საცხოვრებელს. გამოიხურავდა სახლის კარს და სულ თავის ძველ უბანში დაეხეტებოდა. ჩამოჯდებოდა ქუჩაში გამართულ სკამზე და თავს ისევ ძველ სამეზობლოში გრძნობდა. მზე რომ მთებს მიეფარებოდა, სევდა შემოაწვებოდა და ფეხათრევით გაუყვებოდა ერთნაირი, ანაცრისფერებული კორპუსებისაკენ მიმავალ გზას.

ბოლოს, სევდით განაწამებმა, რაც ებადა, ყველაფერი მიატოვა და თავისი ძველი უბნის მახლობლად ნგრევას გადარჩენილი ერთი პაწია ოთახი იყიდა ფარდაგისოდენა ბაღჩითურთ.

მარტოდმარტო ცხოვრობდა. არაფერი გააჩნდა ერთი ვარდის ბუჩქის მეტი. მას შეხაროდა და შეფოფინებდა.

ვარდის ბუჩქი ზამთარ-ზაფხულ სულ ყვაოდა, იმ არემარეში ერთთავად დამათრობელი სურნელი ტრიალებდა.

— ნამდვილი ედემის ყვავილიაო, — ამბობდნენ მისი მშვენიერებით მოხიბლული ადამიანები.

ბერიკაცი ყვავილის ერთ ფოთოლსაც ვერ ელეოდა. ვერავითარ ძვირფას საჩუქარშიც ვერ გასცვლიდა. მეზობლებიც არ სთხოვდნენ. ბავშვებიც კი ერიდებოდნენ, რადგან ხმები დადიოდა, თუ ვინმე ყვავილს მოწყვეტს, ვარდის ბუჩქი უსათუოდ გახმებაო. ენამწარე გოგონას დედამაც გაიგო ეს ამბავი და მოხუცისაკენ ფეხათრევით მიაბიჯებდა. როგორც იქნა, მიადგა მოხუცის ეზოს და ხმის კანკალით დაიძახა.

გაღებულ კარში მოხუცი გამოჩნდა. იცნო ენამწარე გოგონას დედა და გაუკვირდა. სტუმარი შეიპატიჟა.

ქალი მიესალმა და ბაღჩაში შევიდა. ხმის ამოღება უჭირდა.

— მითხარით, რაზე შეწუხებულხართ? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— ვერ გამიბედია იმის გამხელა, რაც უნდა გთხოვოთ... — ლუღლუღით წამოიწყო ქალმა. — შვილი მყავს ავად... ხელიდან მეცლება...

— შვილი?.. — შეშფოთდა ბერიკაცი. — მე... რით შემიძლია დაგეხმაროთ?

ქალს ქვითინი აუვარდა და გაჭირვებით, მორიდებით ამოთქვა ის, რისთვისაც მოვიდა.

მოხუცი შეკრთა. თითქოს მათრახი გადაჰკრესო, მხრებში მოიბუზა. მუხლებაცახცახებული იქვე, სკამზე ჩამოჯდა და თავი დახარა. ცოტა ხანს ასე იყო, გარინდებული. მერე მძიმედ წამოდგა, ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო. ხელის კანკალით მოჭრა აყვავებული ტოტი და ფერმიხდილმა სტუმარ ქალს გაუწოდა, თან წყნარად დააყოლა:

— ოღონ თქვენს გოგონას ეშველებოდეს და ამ ვარდის სიცოცხლე მისთვის შემიწირავს.

ქალმა მოწიწებით შეხედა და მადლობის ნიშნად თავი დახარა...

მოუტანა დედამ ავადმყოფ შვილს ყვავილი. მთელი ოთახი სურნელებით აივსო. გოგონამ თვალები გაახილა. დაინახა თუ არა ვარდი, გამოცოცხლდა. ლოყები აუვარდისფრდა. დამორცხვებით, ჩურჩულით იკითხა:



— იმან მოგცა?.. ნუთუ? უთხარი, ჩემთვის რომ გინდოდა?

— ვუთხარი... — მიუგო დედამ.

გოგონას გული აუჩუყდა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

მერე ხელი ვარდის ტოტისაკენ შიშით გაიწვდინა... შეეხო და... შეძახილი აღმოხდა:

— შეხედე, დედიკო, არ დაჭკნენ!.. ამ ერთ ტოტზე რამდენი ყვავილია და არც ერთი არ გამირბის. აღარ გამირბიან, ჩემი ხელის შეხებაზე აღარ ჭკნებიან! — იძახდა, თან სიხარულისაგან ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა.

გოგონამ მუხლებში ძალა იგრძნო, ტანი ჩიტივით მჩატე გაუხდა და ერთბაშად ლოგინიდან გადმოხტა.

ფეხზე გაიარა თუ არა, მოხუცთან წასვლა ისურვა.

მოხუცი თავის ბაღჩაში დანაღვლიანებული იჯდა. ჭიშკრის გაღებაზე თავი ასწია. ეზოში ენამწარე გოგონა შემოვიდა. მაშინვე გადამხმარი ვარდის ბუჩქი მოხვდა თვალში, გაუბედავად მიუახლოვდა. დააცქერდა და დიდი კურცხალი ჩამოუგორდა...

მოხვდა თუ არა ცრემლი ბუჩქს, ვარდი ნელ-ნელა, ზმორებით გაიფოთლა. მერე ერთ-ერთ ტოტზე ბუთხუზა ყვავილებმა ჭყიტეს თვალები...

იმ ღამეს ერთი საოცრებაც მოხდა. ენამწარე გოგონამ და მოხუცმა ერთნაირი სიზმარი ნახეს: ცისფერთმიანთან ერთად ზეცაში დაფრენდნენ. იფრინეს, იფრინეს და ბოლოს მოხუცის ბაღჩაში დაეშვნენ, ყვავილებით გადაპენტილი ვარდის ბუჩქი დაკრიფეს, ისევ მაღლა აიჭრნენ და ყვავილები თავიანთ უბანს გადმოაყარეს. ქუჩები თითქოს ფერადმა თოვლმა დაფარა. სახლებიდან ბავშვებთან ერთად დიდებიც გამოსულიყვნენ. გაოცებულნი წამწამებს აფახულებდნენ და ვარდისფერი თოვლით იხიბლებოდნენ.

# ჩოგბურთი

ჩოგბურთს თამაშობენ როგორც ღია ცის ქვეშ, ასევე დარბაზებში. მოედნები ერთმანეთისაგან საფარით განსხვავდებიან. ღია ცის ქვეშ იყენებენ მიწის საფარიან, ასფალტის საფარიან, ხის საფარიან, ბალახის საფარიან და პლასტიკურ მოედნებს, დარბაზებში უფრო ხშირად — ხის საფარიან და პლასტიკურ მოედნებს. ამ ბოლო დროს ფართოდ გავრცელდა ხელოვნურ საფარიანი მოედნები — ეს არის ხალიჩა, რომელიც ძალიან წააგავს ბალახის მოედანს.

ბალახის მოედნები იშვიათია — ისინი ძირითადად გვხვდება ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიასა და ინდოეთში, მათი მოვლა ძალიან ძვირი ღირს, თან ისინი წლის განმავლობაში სულ მცირე დროით ფუნქციონირებენ, ამიტომ უფრო ფართოდაა გავრცელებული მიწის საფარიანი მოედნები. დიდი ტურნირების უმეტესობა ასეთ მოედნებზე ტარდება.

სპორტული შეჯიბრებები იშვიათად იმართება ხისა და ასფალტის საფარიან მოედნებზე, მაგრამ ჩოგბურთის მოყვარულები ასეთ მოედნებზე დიდი სიამოვნებით ვარჯიშობენ.

ჩოგბურთის სათამაშოდ იყენებენ სწორ მოედანს, რომლის ზომებია 40×20 მ (იხ. ნახაზები) (ЦЧШЩ). მოედანი შემოღობილი უნდა იყოს სულ მცირე 3 მ სიმაღლის ლითონის ბადით.

ჩოგბურთის მოედნის ზომები მტკიცედ არის დაკანონებული და მათი შეცვლა არ შეიძლება.

სწორ მოედანში (ЦЧШЩ) იხაზება წყვილთა სათამაშო მოედანი, რომელიც წარმოადგენს სწორკუთხედს АБВГ, ხოლო ერთეულთა თამაშებისთვის იყენებენ მის ნაწილს, ასევე სწორკუთხედს ДЕЖЗ; ვიწრო სწორკუთხედებს АБЕД და ЗЖВГ დერეფანი ეწოდება. АБ და ВГ ხაზები წყვილთა თამაშის გვერდითი ხაზებია, ხოლო ДЕ და ЖЗ ხაზები — ერთეულთა თამაშის გვერდითი ხაზები. АГ და БВ ხაზებს უწოდებენ უკანა ხაზებს წყვილთა თამაშისათვის, ხოლო ДЗ და ЕЖ ხაზებს — უკანა ხაზებს ერთეულთა თამაშისათვის. მოედანს შუაზე ყოფს უკანა ხაზების პარალელურად გაბმული ბადე; ბადის პარალელურად, ორივე მხარეს, ერთეულთა თამაშის გვერდით ხაზებს შორის გავლებულია მოწოდების ხაზები ИМ და КЛ. მოწოდების ხაზებს მათი შუა წერტილებით ერთმანეთთან აერთებს ეგრეთ წოდებული შუა ხაზი (НО). თუ შუა ხაზს გავაგრძელებთ, იგი უკანა ხაზებს გადაჰკვეთს ასევე შუა წერტილში, სადაც იხაზება ბადისაკენ მიმართული პატარა ხაზები, რომლებსაც შუა ნიშნული ეწოდება. სათამაშო მოედნების ნაწილებს, სწორკუთხედებს, რომლებიც შემოფარგლულია ბადით, გვერდითი ხაზებით ერთეულთა თამაშისათვის, მიწოდებისა და შუა ხაზებით, მიწოდების მოედნები ეწოდება. СМНР და ПКОР სწორკუთხედებს ეწოდება მიწოდების პირველი მოედნები, ხოლო ИПРН და РОЛС სწორკუთხედებს — მიწოდების მეორე მოედნები, ადგილებს შუა ნიშნულის წარმოსახვითს გაგრძელებასა და ერთეულთა მოედნის გვერდითი ხაზის წარმოსახვითს გაგრძელებას შორის (ერთეულთა თამაშის დროს) და წყვილთა მოედნის გვერდითი ხაზის წარმოსახვითს გაგრძელებას შორის (წყვილთა თამაშის დროს) მიწოდების ზონები ეწოდება. ФЗ და ХЕ მონაკვეთებს ერთეულთა თამაშის დროს და ФГ და ХБ მონაკვეთებს წყვილთა თამაშის დროს ეწოდება მიწოდების პირველი ზონები, ხოლო ФД და ХЖ მონაკვეთებს ერთეულთა თამაშის დროს და ФА და ХВ მონაკვეთებს წყვილთა თამაშის დროს — მიწოდების მეორე ზონები.

მოედნის სიგრძე წყვილთა და ერთეულთა თამაშების დროს (АБ, ГВ, ДЕ და ЗЖ) უცვლელია და უდრის 23 მ და 77 სმ-ს, ხოლო სიგანე პირველ შემთხვევაში (АГ და ВВ) 10 მ 97 სმ-ია, მეორე შემთხვევაში კი (ДЗ და ЕЖ) — 8 მ და 23 სმ. დერეფნების (АД, БЕ, ЗГ და ЖВ) სიგანე 1 მ და 37 სმ-ია, მათი ჯამი შეადგენს განსხვავებას წყვილთა და ერთეულთა თამაშებისათვის განკუთვნილ მოედნებს შორის. მიწოდების ხაზები ИМ და КЛ გავლებულია ბადის პარალელურად, მისგან 6 მ და 40 სმ-ის დაშორებით. უკანა ხაზების სიგანე 10 სმ-ია, ხოლო დანარჩენი ხაზებისა — 5 სმ. ხაზები თეთრი ფერისაა, მათი სიგანე მოედნის ფართობში შედის. ბადე, რომელიც მოედანს ორ თანაბარ ნაწილად ყოფს, გაბმულია ორ ბოძს შუა, ბოძები ვერტიკალურადაა ჩამაგრებული მიწაში. ბოძებსა და წყვილთა თამაშის გვერდით ხაზებს შორის მანძილი 91 სმ-ია. ერთეულთა თამაშის დროსაც იმავე ბოძებსა და ბადეს იყენებენ, მაგრამ ეს უკანასკნელი გვერდებიდან აწეული უნდა იყოს სპეციალური დგარებით, რომლებიც იდგმება ერთეულთა სათამაშო მოედნის გვერდითი ხაზებიდან 91 სმ-ის დაშორებით. ბადის სიმაღლე დგარებთან ან ბოძებთან 1 მ და 6 სმ-ია, ხოლო მოედნის ცენტრში — 91 სმ. სიმაღლის რეგულირება ხდება მოედნის ცენტრში დამაგრებული მარეგულირებელი ხელსაწყოს მეშვეობით. ამ ხელსაწყოზე დამაგრებულია 5 სმ სიგანის თეთრი ბაფთა, რომელიც ვერტიკალურად გარს ევლება ბადეს.




ჩოგბურთს თამაშობენ რეზინის ბურთებით, რომლებსაც გარშემოკრული აქვთ მაუდის თეთრი ქსოვილი.

ჩოგბურთის ჩოგანი შედგება გასარტყმელი ნაწილის, ყელისა და ტარისაგან. გასარტყმელ ნაწილზე გაჭიმულია ლარები. ჩოგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმისა და წონისა მაჯის ძალისდამიხედვით, თუმცა ყველაზე მეტად

გავრცელებულია 10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის 10 უნციამდე (ინგლისური წონის ერთეულია და უდრის 29,8 გრამს), 10-დან და 12 წლამდე 10-12,5 უნციის, გოგონებისა და ჭაბუკებისათვის 12,5-13,5 უნციის, ხოლო ქალებისა და მამაკაცებისათვის 13-14,5 უნციის წონისა.

ჩოგბურთელის სპორტული ფორმა თეთრია, თუმცა ამ ბოლო ხანს უცხოეთის ბევრ ქვეყანაში შემოიღეს სხვადასხვა ფერის სპორტული ფორმაც. ფეხსაცმელი აუცილებლად უქუსლო უნდა იყოს, რეზინის ძირიანი, — იგი სწრაფი სტარტის და მოულოდნელი გაჩერების საშუალებას იძლევა.




ჩოგბურთი ერთდროულად შეიძლება ითამაშოს ორმა (ერთეულთა თამაში) და ოთხმა მოთამაშემ (წყვილთა და შერეულ წყვილთა თამაში). მოთამაშე ცდილობს ჩოგნის გარტყმით გაგზავნოს ბურთი მოწინააღმდეგის მოედანზე ისე, რომ მან ან სულ ვერ შეძლოს ბურთის მოგერიება, ან მხოლოდ თავის მოედანზე ბურთის მეორედ დავარდნის შემდეგ მოიგერიოს, ან მოწინააღმდეგის მოედნის ფარგლებს გარეთ გაგზავნოს, ან კიდევ, მოგერიებული ბურთი მოედნის გამყოფ ბადეში ჩავარდეს.

ამრიგად, ჩოგბურთელი ცდილობს სწრაფი, ძლიერი და ზუსტი გარტყმების საშუალებით მოწინააღმდეგე აიძულოს შეცდეს; ამ გზით იგი აგროვებს ქულებს, რომელთა რაოდენობაზე დამოკიდებულია „გეიმის“, „პარტიისა“ და მთელი შეხვედრის შედეგი. ქულის გათამაშება იწყება ბურთის თამაშში შეყვანით, ანუ მიწოდებით მიწოდების პირველი ზონიდან, მიწოდების პირველ მოედანში. ყოველი შეცდომის შემდეგ ბურთი თამაშში შედის ისევ მიწოდებით, მაგრამ უკვე მიწოდების მეორე ზონიდან მიწოდების მეორე მოედანში და ა. შ. თითოეული მიწოდება შედგება ორი ცდისაგან, მეორე ცდას იყენებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველად მიწოდებული ბურთი არ ჩავარდა მიწოდების შესაბამის მოედანში, ხოლო თუ მიწოდებული ბურთი ბადეს შეეხო და ჩავარდა მიწოდების სათანადო მოედანში, მაშინ ეს ცდა გადათამაშდება. ერთი გეიმის დამთავრების შემდეგ მიწოდებას იწყებს მოწინააღმდეგე. ამრიგად, მთელი შეხვედრის განმავლობაში მოთამაშეები ბურთს აწვდიან რიგრიგობით თითო გეიმის მანძილზე. წყვილთა და შერეულ წყვილთა თამაშებშიც მიწოდებები სრულდება რიგრიგობით, იმ განსხვავებით, რომ პირველ გეიმში მიმწოდებელი მოთამაშე ხელმეორედ მხოლოდ მეხუთე გეიმში მიაწვდის, რადგან სხვა გეიმებში რიგრიგობით მიაწვდიან მოედანზე მყოფი დანარჩენი მოთამაშეები. წყვილთა თამაშებში მიწოდების ასეთი თანამიმდევრობა დაცული უნდა იქნეს პარტიის დამთავრებამდე. მომდევნო პარტიის დაწყებისას მიმწოდებელი წყვილის სურვილის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს მიწოდების თანამიმდევრობა. სავალდებულოა მიწოდების მიღება რიგრიგობით. მოთამაშეს, რომელიც მიწოდებას მიიღებს მიწოდების პირველ მოედანზე, უფლება არა აქვს მიიღოს მიწოდება მიწოდების მეორე მოედანშიც და პირიქით. ერთი გეიმი დამთავრებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთმა მხარემ მოიგო ოთხი ქულა და წააგო არა უმეტეს ორისა.

ანგარიში ჩოგბურთში საკმაოდ რთულია და მას შემდეგი თავისებურებანი ახასიათებს: ერთ-ერთი მხარის მიერ პირველი მოგება იძლევა თხუთმეტ ქულას, მეორე — კიდევ თხუთმეტს და ანგარიში ხდება ოცდაათით ნული. მესამე მოგებისას უკვე მოგროვილ ოცდაათს ემატება ათი და ანგარიში ხდება ორმოცით ნული. მეოთხე ბურთის მოგება კი ნიშნავს გეიმის მოგებას.

ხშირად ანგარიში ცხადდება სპეციალური ტერმინებით „თანაბარი“, „მეტი“ და „ნაკლები“. ეს ტერმინები იხმარება შემდეგ შემთხვევებში: „თანაბარი“ ცხადდება, როცა მოგებული და წაგებული ქულების რაოდენობა თანაბარია. ანუ როცა ანგარიშია ორმოცით-ორმოცი: „მეტი“ მეშვიდე ბურთის მოგების შემდეგ, თუ მიმწოდებელი მოიგებს ქულას „თანაბარი“ ანგარიშის დროს; „ნაკლები“ — ასევე მეშვიდე ქულიდან, თუ მიმწოდებელი მოთამაშე წააგებს ქულას „თანაბარი“ ანგარიშის დროს.

მსაჯი პირველად მიმწოდებელი მოთამაშის ანგარიშს აცხადებს, ხოლო შემდეგ — მიწოდების მიმღები მოთამაშის ანგარიშს. როგორც ზემოთ ითქვა, ერთი გეიმის დამთავრების შემდეგ იწყება მეორე და ა. შ., ვიდრე რომელიმე მხარე არ მოიგებს „პარტიას“.

პარტია მოგებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე მოაგროვებს 6 ქულას, ხოლო მოწინააღმდეგეს მოგებული ექნება არა უმეტეს 4 გეიმისა; ე. ი. პარტია მოგებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ერთი მოთამაშე მოაგროვებს ორი გეიმით მეტს, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე. თუ მოწინააღმდეგეებს აღმოაჩნდათ მოგებულ გეიმთა თანაბარი რაოდენობა, მაგალითად, 5:5, 6:6 და ა. შ., პარტიის გათამაშება გრძელდება მანამდე, ვიდრე ერთ-ერთი მხარე არ მიიღებს ორი გეიმის უპირატესობას. ასეთ შემთხვევაში პარტია შეიძლება დამთავრდეს ანგარიშით 7:5, 8:6 ან 18:16, 21:19, 26:24 და ა. შ. ასეთი შეხვედრების დამთავრება ხშირად ერთი დღის განმავლობაში არ ხერხდება, შეხვედრები გადააქვთ მეორე დღისათვის, რაც იწვევს ჩოგბურთელთა დიდ ნერვულ და ფიზიკურ დაძაბვას, ფერხდება და იცვლება შეჯიბრების გრაფიკი.

ამიტომ ამ ბოლო ხანს ხშირად ტარდება ისეთი შეჯიბრებები, რომელთა დებულებაშიც ნათქვამია, რომ თითოეული პარტია გათამაშდება არა უმეტეს ცამეტი გეიმისაგან. აქედან გამომდინარე, როდესაც ანგარიშია 6:6, მომდევნო გეიმი გადამწყვეტი იქნება და პარტია დამთავრდება ანგარიშით 7:6. მეცამეტე გეიმის გათამაშებას „ტაი-ბრეიკის“ სისტემა ჰქვია. ყოველი მოგებული ბურთისათვის ჩაითვლება 1 ქულა. მოთამაშე, რომელიც პირველი დააგროვებს 7 ქულას, იგებს გეიმს და პარტი-

ას. თუ ამ დროს მოწინააღმდეგეს აქვს არა უმეტეს 5 ქულისა, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაში გრძელდება, სანამ ერთ-ერთ მოთამაშეს არ ექნება 2 ქულით მეტი.

„ტაი-ბრეიკის“ სისტემით მიწოდებას იწყებს ის მოთამაშე, რომლის რიგიც იყო იმ მომენტში, როცა ანგარიში გახდა 6:6. იგი აწვდის ერთ მიწოდებას, გათამაშდა 1 ქულა. შემდეგ ორ მიწოდებას აწვდის მოწინააღმდეგე, გათამაშდა კიდევ 2 ქულა. შემდეგ ისევ პირველი მოთამაშე აწვდის ორ მიწოდებას, გათამაშდა კიდევ 2 ქულა და ა. შ.

არსებობს მოედნის მხარეების შეცვლის წესი, რომლის თანახმადაც შეცვლა ხდება პირველი გეიმის დამთავრებისა და ყოველი ორი მომდევნო გეიმის დამთავრების შემდეგ, ე. ი. როდესაც გეიმთა ჯამი კენტია; „ტაი-ბრეიკის“ დროს კი — 6 გათამაშებული ქულის შემდეგ და გეიმის დამთავრებისას.

**ჩოგბურთის თამაშის დროს დაშვებული შეცდომები სწორდება შემდეგი სამსაჯო ტერმინებით:**

1. მიმწოდებელმა მიწოდება შეასრულა
ა) სირბილის ან სირბილის დროს: „სირბილი“
ბ) მიწოდების სხვა ზონიდან: „არასწორი ზონა“
გ) ააცდინა ჩოგანი ბურთს: „არა“
2. მიწოდების დამთავრების მომენტში მიმწოდებელი ფეხით შეეხო უკანა ხაზს, ან დაარღვია მიწოდების ზონები: „გადაბიჯება“
3. მიწოდების შემდეგ:
ა) ბურთი დავარდა მიწოდების სხვა მოედანში პირველი ან მეორე მიწოდებისას: „არა“
ბ) ბურთი მიწოდების მოედანში დამიწების წინ შეეხო ბადის ზედა ნაწილს დგარსა და ბოძს შორის, აგრეთვე დგარს ერთეულთა თამაშისას ან ბოძს წყვილთა თამაშისას; შეეხო ყველა პირს (მიმღები მხარის მოთამაშეთა გარდა) ან საგანს, მოედნის გარეთ; შეეხო მიმწოდებლის პარტნიორს, მისი ტანისამოსის ნაწილს ან ჩოგანს წყვილთა თამაშებში — პირველი ან მეორე მიწოდების შემდეგ: „არა“
გ) ბურთი, მიწოდებული ყველა შემთხვევაში სწორად, დამიწების წინ მიწოდების სავალდებულო მოედანში შეეხო ბადის ზედა ნაწილს, დგარებს (ერთეულთა თამაშისას) ან ბოძებს (წყვილთა თამაშისას), ან ბადეზე შეხებისას დამიწების წინ შეეხო მიმწოდებელს (ან მის პარტნიორს წყვილთა თამაშში), სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, ან მისი ტანისამოსის ნაწილს, ანდა ჩოგანს, — პირველი მიწოდებისას: „ბადე, პირველი მიწოდება“
მეორე მიწოდებისას: „ბადე, მეორე მიწოდება“
4. მიწოდების მიღებისას მიმღებმა ბურთს, რომელიც ბადეს არ შეხებია, მანამდე გაარტყა, სანამ იგი მოედანს შეეხებოდა: „ჰაერიდან მიღება“
5. მიწოდების მიღების შემდეგ ან ყველა მომდევნო გარტყმისას:
ა) ბურთი დაეცა მოედნის ფარგლებს გარეთ: „გარეთ“
ბ) მოთამაშემ ბურთს გაარტყა მისი მეორედ დამიწების შემდეგ: „გვიან“
გ) მოთამაშემ ბურთს გაარტყა ჰაერიდან მოწინააღმდეგის მხარეზე: „გადატანა“
დ) მოთამაშემ ბურთს გაარტყა ერთზე მეტად ან გარტყმის შესრულების დროს შეაჩერა ბურთი ჩოგნით და შემდეგ გადააგდო იგი, აგრეთვე წყვილთა თამაშებში ბურთს გაარტყა მას შემდეგ, როცა მას ჩოგნით შეეხო პარტნიორი: „ორმაგი გარტყმა“
ე) მოთამაშემ ბურთი მოიგერია ჩოგნით, რომელიც გარტყმამდე ხელიდან გაუშვა: „გდება“
6. ყველა გარტყმის შემდეგ:
ა) ბურთი გაძვრა ბადეში დგარებს შორის ერთეულთა თამაშში ან ბოძებს შორის წყვილებში: „გაძვრა“
ბ) ბურთი დამიწების მომენტში დაფარული იყო მოთამაშის მიერ: „დაფარულია“
გ) თვითონ მოთამაშე, მისი ტანისამოსის ნაწილი ან ჩოგანი (ხელში ჭერისას ან ხელიდან გაშვებისას) შეეხო ბადეს დგარებს შორის ან თვით დგარს (ერთეულთა თამაშებში), ბადეს ბოძებს შორის ან თვით ბოძს (წყვილებში) ან მოედნის ზედაპირს მოწინააღმდეგის მხარეს: „შეხება“
დ) ბურთი შეეხო მოთამაშეს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, მისი ტანისამოსის ნაწილს, ჩოგანს ან ყველანაირ საგანს მოედნის ფარგლებს გარეთ: „შეხება“
ე) ყველა შემთხვევაში, როდესაც წესები მოითხოვს ქულის გადათამაშებას: „გადათამაშება“
ვ) წარმოიშვა საჭიროება, დამტკიცდეს მოედნის ფარგლებში ბურთის მიწაზე დაცემის ფაქტი. „კარგია“
გ) წარმოიშვა თამაშის შეჩერების საჭიროება: „სდექ“

შენიშვნა: 1. ბადეში ბურთის მოხვედრა პირველი მიწოდების შემდეგ ძახილით არ ფიქსირდება.

2. თუ ბურთი მოხვდა ბადეს ყველანაირი გარტყმის შემდეგ, გარდა პირველი მიწოდებისა, ან მოთამაშემ ვერ შეძლო იმ ბურთის მოგერიება, რომელიც მოწინააღმდეგემ სწორად გამოგზავნა, ცხადდება ანგარიში.

7. მაგალითად, არასწორი გადაწყვეტილების შეცვლისას: თუ შეცდომით იყო ძახილი „არა“ ან „გარეთ“: „შესწორება, კარგია“ თუ შეცდომით იყო ძახილი „კარგია“ და ა. შ. „შესწორება, „არა“ („გარეთ“)

ა. ელერდაშვილი,
სპორტის ოსტატი, საქ. სსრ დამს. მწვრთნელი.

თ. ყარსიმაშვილი,
სპორტის ოსტატი.

## საინტერესო სიახლენი

### გალაქტიკური ხიდები

ამერიკელმა ასტრონომმა როჯერ ლინდსმა აღმოაჩინა აქამდე უცნობი და ნამდვილად უცნაური მოვლენის — გალაქტიკებს შორის რკალური კავშირის — სამი შემთხვევა. თითოეული „ხიდის“ სიგრძე 300 000 სინათლის წელზე მეტია, აქვს რკალის თითქმის ზედმიწევნით სწორი გეომეტრიული ფორმა, ანათებს ცისფერი შუქით. „ხიდის“ ნათება ასმილიარდჯერ უფრო მაღალია მზის ნათების ძალასთან შედარებით.

### გახერხეს სახლი

ნიადაგის უთანაბრო დაწევის გამო ქ. ესენში (გფრ) გადახრა დაიწყო საცხოვრებელმა სახლმა. შენობის გადასარჩენად ინჟინრებმა მოულოდნელ ხერხს მიმართეს: ყველაზე მეტი დაძაბულობის ადგილებში, იქ, სადაც მოსალოდნელი იყო ნაპრალის გაჩენა, სახლი რამდენიმე ადგილას გახერხეს, მერე კი ცალ-ცალკე გაასწორეს და გაამაგრეს თითოეული ნაწილის საძირკველი. ხერხვის პროცესში ბინის პატრონები შინ იყვნენ და რაიმე განსაკუთრებული უხერხულობა არ უგრძვნიათ. ოპერაციისათვის გამოიყენეს ალმასის ჯაჭვური ხერხი, რომელიც საათში 100-160 მმ აგურის წყობას ხერხავდა. თამამი იდეის წარმატებით განხორციელების შემდეგ იმავე მეთოდით გადაარჩინეს კიდევ რამდენიმე ავარიული სახლი.

### ქარენერგეტიკის გიგანტი

ორკნეის არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე 1987 წლის ივლისში ამუშავდა ბრიტანეთის ყველაზე მძლავრი და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი ქარგენერატორული დანადგარი. მისი სიმძლავრე სამი მეგავატია.

# მოდელირების მოყვარულთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გვინდა შემოგთავაზოთ თქვენი ჩელიაბინსკელი თანატოლის, ნ. ნევზოროვის მიერ ჟურნალი „იუნი ტეხნიკის" კონკურსზე წარდგენილი დელტაპლანის მოდელი.

მოდელი შედგება ფიუზელაჟის (4), რეზინმოტორის ჯგუფის (1), ფრთის (დეტალები 2, 3, 5 და 8), ხერხემლისა (6) და ჭიმებისაგან (7). ფიუზელაჟი თხელი ქაღალდისგან არის დაწებებული, რეზინმოტორი აწყობილია რეზინის ძაფების კუთხესამაგრების, კაუჭებისა და ორი საჰაერო ხრახნისაგან.

ახლა ვნახოთ, როგორია დელტაპლანის ფრთა.

მისი წინა (2) და უკანა (5) ნაწიბურები ხისტია, მაგარი და

## დელტაფრთა

დამზადებულია ფიჭვის ლარტყებისაგან, რომელთა კვეთი 2×4 მმ-ია. თითოეული სიბრტყის შუაში მეტი სიმაგრისათვის შემონაკერს ანუ სამოსს მიწებებული აქვს ძაფები (3), ასეთივე ძაფი — ჭიმები (7 და 8) საჭირო მდგომარეობაში ამაგრებენ ფრთის სიბრტყეებს.

სამოსი მაგრად არის მიწებებული ფრთის მთელი პერიმეტრის გაყოლებაზე, გარდა ნაპირა რკალისებრი „ჯიბეებისა" (იხ. ნახ.). ნახაზზე მოცემულია მომცრო მოდელის ზომები, თქვენ შეგიძლიათ უფრო მოზრდილი დელტაფრთაც დაამზადოთ. და კიდევ ერთი — მოდელი მომაღლო ადგილიდან უნდა გაიშვას.




### მომღერალი გიბონები

მაიმუნები თურმე საკმაოდ მუსიკალური არსებანი ყოფილან. ამ დასკვნამდე მივიდა ინგლისელი მეცნიერი პოლ ჰიტინსი. მან სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სხვადასხვა რეგიონის პრიმატთა ცხოვრების ნირი შეისწავლა. ყველაზე უფრო მუსიკალურნი, ეტყობა, გიბონები არიან, — ისინი ძალზე მელოდიურად მღერიან, თითქმის ისევე, როგორც მგალობელი ჩიტები. გამოირკვა, რომ მამალი მაიმუნი დედალზე მეტს მღერის. სიმღერა შეიძლება რამდენიმე წუთიდან ორ საათამდე გრძელდებოდეს. ყოველი „არია" მაქსიმუმ თხუთმეტწუთიანია. პირველ „არიას" გიბონი განთიადისას, მზის ამოსვლისას მღერის, მეორეს — ნასაუზმევს, 7-8 საათზე, შემდეგ კი — როცა მოეგუნებება.



### უკან, გაზაფხულისაკენ

ანდამანის ზღვის მეის არქიპელაგის მცხოვრებნი ყოველწლიურად თითო წლით „ახალგაზრდავდებიან" ხოლმე: აქაური ტრადიციის თანახმად, ახალშობილს ასაკად



60 წელს „უნიშნავენ", მომავალში კი დროის ათვლა უკუსვლით მიმდინარეობს. ამრიგად, ბიჭი აქ 50-55 წლისაა, მოხუცი კი 2-3 წლისა. ვინც „ნულ" წელს მიაღწევს, იმას კიდევ 10 წელს აძლევენ, მერე კიდევ 10-ს და ა. შ. ამრიგად, არსებობენ „ორგზის შობილნი" და „სამგზის შობილნი".

### მოუშირეთ ჭამას!

საკუთარ ფიგურაზე ზრუნვა — ქალების ოდინდელი პრივილეგია — ინდოელ სამხედრო მოსამსახურეთა წმინდა მოვალეობად იქცა. მთავარსარდლობა მიიჩნევს (და სამართლიანადაც!), რომ ღიპი ამცირებს ჯარისკაცის ძალას და ძირს სცემს მის მეომრულ სულს. შემოიღეს მკაცრი ზომები: ვინც იდეალურ წონას შვიდი პროცენტით წააჭარბებს, სერიოზულ გაფრთხილებას მიიღებს და სამსახურში დაწინაურების იმედი არ უნდა იქონიოს.

### ოქროს საჩუქარი ვერცხლის ქორწილში

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი თავის თაფლობის თვეს საბერძნეთის კუნძულ როდოსზე ატარებდა. ერთხელ, ნავით სეირნობისას, ქალს თითზე საქორწინო ოქროს ბეჭედი წასძვრა და ზღვაში ჩაუვარდა. ოცდახუთი წლის შემდეგ მეუღლეები ისევ ეწვივნენ როდოსს, რათა ვერცხლის ქორწილი აღენიშნათ. წარმოიდგინეთ მათი გაკვირვება, როცა რესტორანში მორთმეული თევზის მუცელში მათ მეოთხედი საუკუნის წინათ დაკარგული ოქროს ბეჭედი აღმოაჩინეს!

### მოცურავე სპილოები

სამმა აფრიკულმა სპილომ შორეული ცურვის რეკორდი დაამყარა — მათ მოისურვეს ცურვით მოეტოვებინათ უკან ზიმბაბვეს ეროვნული პარკი მატუსადონა. პირველი ცდა მარცხიანი გამოდგა — სპილოები დააბრუნეს. მაგრამ ცხოველებმა თავისი არ დაიშალეს და მეორე დღეს ისევ შესცურეს წყალში. ამჯერად მათ მიაღწიეს მიზანს და 30 საათში 35 კილომეტრი გადასცურეს. მეცნიერებმა ვერ დაადგინეს,



რამ აიძულა სპილოები მიეტოვებინათ ეროვნული პარკი, სადაც ისინი დიდ პატივში ჰყავდათ.



განი ასეთი სიძნელის წინაშე აღმოჩნდეს: მოულოდნელად გადაუტყდეს პლასტმასის კაუჭი. თუკი ასეთ მარცხს შეესწრები, არ დაიბნე — ადექი და კაუჭი ცანგური ფანქრის საჭერში ჩაამაგრე. ნურც კაუჭის ნატეხის ბოლოს სიმსხო დაგაღონებს — გაქლიბე იგი და მორჩა

● სასმელი წყლის კანისტრას (სულერთია, ლითონისა იქნება თუ პლასტმასისა) კოროლონი შემოაკერე და ქსოვილის შალითაში ჩასვი. დიდ სიცხეშიაც კი კანისტრა წყალს ცივად შეინახავს.



კოროლონი

● თუ წყალსადენის ონკანის სარქველში ფუჭვილა (раковина) წარმოიქმნა, მაინცდამაინც სანტექნიკოსის მოსვლას ნუ დაელოდები — ვინ იცის, რამდენ ხანს მოგიწევს ცდა! ვენტილი მოხსენი და ბრტყელი შუასადები კონუსური კვეთის თვითნაკეთი (რამდენიმე ფენა ტყავისაგან გამოჭრილი) შუასადებით შეცვალე. ახალი შუასადები ძველზე ორჯერ სქელი უნდა იყოს. ონკანის დაკეტვისას შუასადები უნაგირაში შევა და მჭიდროდ დახურავს ფუჭვილას.



● ავეჯის (კარადის, თაროს და ა. შ.) აწყობისას ხშირად საჭირო ხდება დიდი რაოდენობის სჭვალის ჩახრახვნა მზა ხვრელებში, დროსაც მოიგებ და შრომასაც შეიმსუბუქებ, თუ ციბრუტში შესაფერის საწერტელს ჩაამაგრებ. ასეთი საწერტელის პოვნა შეგიძლია საცვლელი სახრახნისების ნაკრებში.



● ნუ იჩქარებ ძველი, გაცვეთილი კბილის ჯაგრისის გადაგდებას. იგი შეიძლება ცეცხლზე გაახურო, გადაღუნო, სასურველი ფორმა მისცე და გამოიყენო მცირე ზედაპირების გასალაქავად ან იმ მილების შესაღებად, რომლებიც კედლებთან ძალზე ახლოსაა განლაგებული



● თუ შენს ოჯახში ხელსაქმეობას მისდევენ — ბებია, დედა, დეიდა დაიქსოვს ხოლმე, შეიძლება რომელიმე მათ-





# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


მ. გორბაჩოვი — „არტეკის" პიონერთა IX საკავშირო შეკრებას . . . 2
პიონერთა IX საკავშირო შეკრების გადაწყვეტილება . . . 4
გ. კურტანიძე — ოქტომბრის მზით მოფენილი სიკეთე (წერილი) . . . 6
მ. გელაშვილი — გფარავდეთ თბილი კალთა (ნარკვევი) . . . 8
ჩვენთან სტუმრად არის ესტონეთის საბავშვო ჟურნალი „პიონერი" . . . 11
ნორჩ შემოქმედთა კონკურსი „ოქტომბერი ჩვენს გულებში" . . . 15
ვ. ასლამაზიშვილი — განმარტოებული ნაპირი (მოთხრობა) . . . 17
კ ო ც ო ნ ი . . . 21
გამორჩენილი ადამიანების ღიმილი . . . 22
გ. ტოგონიძე — ენამწარე გოგონას ამბავი (მოთხრობა) . . . 23
ა. ელერდაშვილი, თ. ყარსიმაშვილი — ჩოგბურთი (წერილი) . . . 28
ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო ს ი ა ხ ლ ე ნ ი . . . 30
მ ო დ ე ლ ი რ ე ბ ი ს მ ო ყ ვ ა რ უ ლ თ ა თ ვ ი ს . . . 31
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე . . . 31
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . გარეკ. 3


გარეკანის 1-ლი და მე-4 გვერდების მხატვრობა თენგიზ სამსონაძისა


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.



რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 24.09.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.11.87 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 4,9. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,4; შეკვ. 2353. ტირაჟი 161.000, ეგზ., უე 11120.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9.
Тираж 161.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი", 1987 წ.



# ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

ცხიმის მეორე სახელის
ფუძეს აილებ მხოლოდ,
მერე კი კარგი ამინდი
უნდა დაურთო ბოლოს
და შეგიძლია დასკვნითი
პასუხიც მოაყოლო.

●

ასლი გახლავს იგივე,
რაც საწყისად გპირდება,
ისიც მოკლე სიტყვაა,
თქმა არ გაგიჭირდება.
დღის მნათობი დაურთე
დასრულდება შარადა,
გაფურჩქნილა ლალისფრად
თვალის გასახარადა.

Შ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

## ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ინგლისელი მწერალი; 2. ალმაცერის სინონიმი; 6. მეცნიერება, რომელიც სწავლობს კაცობრიობის მიერ განვლილ გზას; 9. ინდონეზიის კუნძული; 11. რქის ნალარა; 12. ყაზბეგის ნაწარმოების სათაური; 13. სატელეგრაფო ანბანი; 17. მიწის დასამუშავებელი ხის იარალი ძველად; 18. ფრინველის მიერ შეკრული კამარა; 20. დიდი რუსი მწერალი; 22. კოპიტის სინონიმი; 23. დადებითად დამუხტული ელექტროდი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. კორეის ქალაქი; 2 საქართველოს მდინარე; 3. ჭრილობის სინონიმი; 4. ტყის ბინადარი ცხოველი; 5. პარკოსანი მცენარე; 7. ლაშქრის სინონიმი ძველ ქართულში; 8. თმის სალებავი; 10. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 11 ცნობილი ფრანგი მწერალი; 14. მყარი საწვავი, მიღებული ქვანახშირის გახურებით; 15. სადურგლო იარაღი; 16. სამჭედლო იარაღი; 17. გამხმარი ხილი; 19. ევროპის მდინარე; 20 ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკე; 21. ბერძნული ანბანის ასო.

შეადგინა ᲜᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔᲛ, გორი, ყელქცეულის საშუალო სკოლა, X კლასი

## ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

●

ზედ მწვერვალის წვერზე ვიჯექ
თეთრზე-თეთრი ფიორი.
ხეობაში სტუმრად ჩაველ,
წყალი შევსვი იორის.
გავშავდი და გავიელინთე,
ისევ მაღლა წაველი,
მერე მიწა გადავწათლე,
გავახარე მთა-ველი.

●

უნაზესი მწერია,
ხატაურაფრთება,
ერთ დღეს რომ იბადება,
მესამე დღეს კვდება.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲜᲐᲛᲝᲠᲐᲫᲔ

●

დიდიცაა, მომცროცაა,
ყველას გვიდგას შინ,
შეხედავ და — გადაგხატავს.
ვინ მიხვდება, ვინ?

●

აქეთ ხუთი, იქით — ხუთი,
ტყუპისცალა ძმებია,
სისქეში და სიმაღლეში
ოდნავ განსხვავდებიან,
ერთურთს მხარში უდგანან და
მუდამ ეხმარებიან.

●

ვის ვგულისხმობ ამ ნათქვამში,
ბევრი მიმიხვდება:
რამდენჯერაც იბადება,
იმდენჯერვე კვდება.

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

●

წყვდიადში, როცა არაფრის
არ ჩანს ზღუდე და სამანი,
შეუცდომელად ვიპოვე
გაშლილი იასამანი.
ჰოდა, ვინ მყავდა მეგზური,
წინ მიმიძღოდა რომელიც?
ყვავილის გზა რომ მასწავლა,
ნაღდი და შეუცდომელი?

●

ზის არხეინად მხედარი,
ყრუა და თანაც უტყვია,
თავისი გრძელი ფეხები
ყურებზე გადაუწყვია.

Ნ. ᲛᲐᲠᲘᲮᲘᲐ

ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ



ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

ᲫᲔᲮᲕᲘᲪ, ᲗᲐᲤᲚᲘᲪ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲜᲐᲮᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲖᲘᲙᲛᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲒᲣᲜᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲔᲡ ᲒᲖᲐ.

ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

## ᲞᲐᲡᲣᲮᲘ № 10-ᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ „ᲪᲮᲠᲐᲙᲚᲘᲢᲣᲚᲖᲔ"

### ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. პროცედურა; 3. კოლექტივი; 5. ლატარია; 6. ნეაპოლი; 8. ასტრა; 9. ურანი; 11. ფაიფური; 13. ამირანი; 14. ლაილაში; 15. ამარილო; 18. ურბნისი; 22. იალქანი; 25. აბაზი; 26. აჭარა; 28. აპარატი; 29. აგარაკი; 30. ანთრაციტი; 31. ატესტაცია.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. პანტომიმა; 2. ალაზანი; 3. კენგურუ; 4. იზოლატორი; 5. ლაინერი; 7. იზაბელა; 8. აორტა; 10. ისანი; 11. ფრიდონი; 12. იალბუზი; 15. არაუკარია; 16. ალიასკა; 17. იალტა; 19. ბალთა; 20. ითხვისი; 21. ინტონაცია; 23. ლეიცინი; 24. აბაზანა.

ᲓᲘᲐᲒᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 1. პალმა; 10. ირიტი; 11. ფილიალი; 22. იურისტი; 27. ამირა; 30. აგარა.

### ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲒᲔᲭᲓᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ, ᲖᲦᲕᲐ, ᲙᲔᲜᲒᲣᲠᲣ, ᲪᲮᲕᲐᲠᲘ, ᲨᲐᲚᲐᲨᲘᲜᲘ, ᲛᲐᲙᲠᲐᲢᲔᲚᲘ.



ნ 227/205
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.